

საქართველოს
საზოგადოებრივი





I	მოგწონს განა ჩემი ლექვები? სურათი.	194
II	გაზაფხულის დილა, ლექსი სიმ. მუხანსძირეჯისა	195
III	პატარა ჯარის კაცი ამბავი თ. ზ. თარხან-მთურავისა.	197
IV	ცოცხალი ყვავილები, ლეგენდა * * . . .	203
V	რეზო აღდგომას უსაჩუქროთ დარჩა (გადმოკეთებული) ტასისა	206
VI	ფეხით მოგზაურობა ჩინეთამდის (თარგმანი) კუდრაჯისა	212
VII	„ჯღანუას“ თავგადასავალი (ზღაპარი) ად. ნათაძისა.	216
VIII	წვრილმანი: გამოცანები, შარადა, რებუსი, ახსნა.	223
<hr/>		
IX	გაზაფხული ლექსი ვ. რუხასისა	225
X	ფარვანა - ამბავი ტქვიტისა.	226
XI	მეფე და ოქრომქედელი მღ. ბესარიონ ვაშაძისა.	231
XII	მტრები (რუს-იაპონელთა ომის ამბავი) ინფანტივისა, თარგმანი (დასასრული შგმდევ) ანსტასიასა.	234
XIII	ფრთოსანთა მონადირენი. ამბები ფრინველთა ცხოვრებიდან	242
XIV	ამბავი ერთი კაცის (ცხოვრებისა (თომა ალვა ედისონი) დასასრული— ან. წერეთლისა	246

ჭეჭილის რედაქციაში ისუიდება ახლათ დაბეჭდილი:

მცენარეები და ცხოველები

ცხელი ქვეყნებისა. (დასურათებული)


ნება დართული კავკ. ოლქის მზრუნველისაგან

სკოლებში სსხმარებლათ.

ფასი 35 კაპ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქმეწილო ნახატებიანი
უურნალი.

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო.

ი. დ.

აზრილო, 1914 წ.

◆ წელიწადი მეოცდახუთე ◆

თ ბ ი ლ ი ს ი

ელექტრომბეჭდავი „ზრომა“, მუხრანის ქ. № 12.

1914



ქართული
ლიბრერი



მოგწონს ჩემი ლეკვები?

გაზაფხულის დილა



ათბა არე
 მკლოვიარე
 და ბუნება გაძო-
 ცოცხლდა:
 ცელქი წუარო
 უანგარო
 ქვეშ ვუვაილებს
 შეუცოცდა;
 მორცხვ, ნაზ იას
 გულმკერდ ღიანს
 მიულოცა გაზაფ-
 ხული,
 და დღე მზიანს
 ხალისიანს
 შესაროდა ნაკადუ-
 ლი.
 შეფოთლილი
 ახლად შლილი

ბუჩქი ხარობს, ტყე ირთვება,
 შაშვი გალობს
 სმენას ატეობს
 სიტკბოება გულსა წვდება;
 და ჰეპელა
 ფრთხილ ჭრელებს
 ბუჩქ-ვუვაილებს თავს ასდება,


86861

საქართველო
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა




და თეთრ ევაუილს
 ეელ შიღვრილს
 თან ჰკოცნის და მითი სტებება.
 აჰ, მერცხალი
 სწრაფი, ძალი
 დასე, როგორ დასტრიალებს,
 ის ბუზ-მწერის
 მტერი არის,
 სსვეებს არავის არწას ავნებს;
 მშვიდი დილა
 რა ისილა
 სკამ დასტოვა ზამთრის ბინა,
 და ევაუილებს
 მინდვრის შვილებს
 მიაშურა შრომის შვილმა.

სიმ. მუნისძირელი.



ჰატარა ჯარის კაცი



ემოდგომის მშენიერი დილა იყო. ჰატარა დათამ გააჭვიტა თუ არა თვალები, ჰურანგის ამარა მეორე ოთახისაკენ გაემართა, სადაც მამა რომ ვერ დაინახა ჩვეულებისამებრ მავო-

დასთან მჯდომი და ჩუსტების მკერავი, კარებიდანვე დედას შეეკითხა:

— დედა, მამა სად აღის?

— მამა, შვილო, წუსელის სალდათში სათამაშოთ წავიდა.

მანამ გაოცებული დათა იტეოდა რასმეს, ცხრა წლის გივამ, სარაზის შეგირდმა, სთქვა:

— ძალო, რა დროს თამაშობაა, როცა მის ამოდენა შეკვეთილი საქმე აქვს აღებული?

— ეჭ, შვილო, — ამოოხვრით სთქვა მართამ — ჩვენ რომ გვეითხავდენ კარგი იქნებოდა, მაგრამ უბრძანეს და წავიდა.

— აკი გაათავა, ძალო, მინამ სალდათობა?



— გაბათავა, შვილო, მაგრამ სამ წელიწადში ერთხელ კიდევ წაიუვანენ ხოლმე, რომ გაბათავები-
ნონ რაც უსწავლიათ: კინიცობაა ომი რომ იყოს
გაწვრთნილი ჯარი შეკრიფონ.

— დედა, მეც წავალ სალდათში სათამაშოთ!—
შეესვენა დათა.

— ხა, ხა, ხა! რა გამაცინე, შვილო, ამ დარ-
დიან გულებე! აბა სად უნდა წახვიდე თითისტოლას
ბავშვი?

— ლას იცინი, სალდათს ველ, ველ ვითამაშებ?
— წუენითა სთქვა დათამ და თვალეებში ცრემლი მოეწია.

— ნუ დადონდი, კენაცვალოს დედა! გაიზრდები—
შენც წაგიუვანენ ჯარში—თითქოს შეეშინდაო ძარტამ
გულში ჩაიკრა შვილი—უი დედა შენს, თუ ომის
დროს წაგიუვანეს!

დათამ დედის ლაპარაკი დაპირებათ მიიღო, გუ-
ლი მოეცა და დაჟინებით დაიწყო:

— მამ ეხლავე წავალ, ეხლავე მეც მამასთან
უნდა წავიდე! უნდა წავიდე, წავიდე სათამაშოთ!

— შვილო, ჯარის კაცს უნდა დიდი წადები, მა-
ზარა, კაკირუხიანი ქუდი და თოფი. შენ რომ არა-
ფერი გაქვს?— ალერსით უთხრა დედამ.

— მივიდე კველბაფელი, მივიდე. უნდა წავიდე!
დედის და გიგას მოცინარნი სახეები რომ დაი-
ნახა, უფრო დაჟინებით დაიწყო:

— მივიდე მეთქი! მივიდე, ძაღვ უნდა წავიდე!—
მივიდე—და გულ-ამოსკვნით ტირილი მოართო.

დედამ ბეჭრი დაუევა, ბეჭრი არიგა, ბოლოს

გაუგზავრდა კიდევ, მაგრამ დათა თავისას გაიძახოდა.
— მიუიდე, წავალ მამასთან! მიუიდე!..

დედამ რომ ველარს გააწეო რა უთხრა:

— კარგი, დაჩუბდი, ესლავე ველებფერს გიძოვი,
ჩაცაცევე და წადი.

ამისი თქმა და დათას გაღიებება ერთი იყო.

დედაც ფატი-ფუცით შეუდგა შვილის ძხადებას,
და რომ ბავშვი საგონებელში არ ჩაეგდო, არა ჰკითხ-
სა თუ საით წავიდოდა, ან მამას როგორ იპოვიდა.

დუქანში დიდი ახალ—ეელიანი ჩუსტები იყო.
ისინი ჩააცვა; გიგას ძაწარა, რომელიც მიწასე მი-
ათრეკდა, ქაძრით დაუმოკლა, ქუდზედ სქელი ქაღალ-
დის „კაკირუსი“ მიუკერა. ახლა თოფი გახდა საფიტ-
რებელი.

გიგამ, რომელიც მართასთან ერთად დათას ძორ-
თვაში მონაწილეობას იღებდა, ძალუას უთხრა:

— ძალო, თოფს ესლავე შემოვიტან! ძარდათ
წაღდულებს ხელი დაავლო, გარეთ გაიქცა. პატარა
ხნის უკან თხელი ფიცრისგან გამოჭრილი თოფი
შემოარბენინა, რომელიც ნახშირით გაეთხუნა და
კანაფი შეება.

თოფიც რომ ჩამოჭკიდეს დათას ძარდათ და გი-
გამ სიცხილი ვერ შეიკავეს და ერთი ხმით გადინარ-
ხარეს.

დათამ იწეინა, აიბუსა.

დედას შეეძინდა კიდევ ტირილი არ ძორთოსო,
უსუძრათ შესედა და უთხრა:



— აბა, შვილო, ახლა კი წადი, ღმერთმა დაგვანდო
მოგიძარტოს, გზა დაგილოცოს!

დათამ იგრძნო, რომ ამის მოქმედების დრო და-
დგა, გამოიჭიმა და აძაყათა სთქვა:

— აბა ელთი ჯოხნიც მომეცით!

ამაზე მართან კიდევ გაეცინა და უთხრა:

— შვილო, კაცს თოფი მხარზე გაკიდოს, და
ჯოხს თხოულობდე! რათ გინდა?

— ლას იცინით, ჩვენებიანთ ლეკვს თოფს სომ
აღ ვესული! ჯოხით უნდა მოვიგელო, ძამ!

— თუ ლეკვის ეფუა შეკამინებს, დიდ მამაღმა
რომ დაიუვიროს რას იხამ?—დაეკითხა დედა.

— მეც ეიულიყოს ვიტყვი!

— ცხენი რომ დაგხვდეს გზაზე?

— ფეხებ ქვეშ გავშვლები და წაყალ.

— კამეჩი რომ დაგხვდეს?—კიდევ შეეკითხა დედა.

— ლქებზე შევანტები, გადავანტები და მალე გა-
ვიქცევი:

— ვირი რომ დაგხვდეს?—ახლა გიგა შეეკითხა:

— ეჭ, გააჭილეთ საქმე! დავიულოყინებ და მოყ-
კულცხლავ!—თან მარდათ მოტრიალდა და ორდობის-
კენ დაეშვა.

მართამ და გიგამ, ჰატარა ჯარის კაცს, დიმი-
ლით თვალი გააუოლეს.

მერე მართა მიუბრუნდა გიგას და უთხრა:

— შვილო, თუ ღმერთი გწამს, ერთი შორიანს-
ლო გაჭეე, მართლა არავის მადღმა დაგლიჯოს.

ჰატარა ფიქრის შემდეგ, მართა ის იყო სანსლში

უნდა შესულიყო რომ შვილის ტირილის ხმა შემდგომად
ესმა. მარდათ უკანვე გამობრუნდა და შვილისკენ გა-
ეყენა. ეგონა შვილს ცხვირპირ სისხლიანს დაინა-
ხავდა, მაგრამ აი რა ნახა: შვილი მახარა ჩამოთრე-



ული, თოფის მურისგან ხელებ და ზირ მოთხუნული
მორბის და უკან ლეკვი ეეფით მოსდევს. გიგოც სი-
ცილით შორიასლოს მორბის.

დღამ მტირალი გულში ჩაიკრა და ლეკვს შეუ-
ტია:

— გასწი, შე წუწკო, შინ! შვილს მიუბრუნდა:
— რა იყო, შვილო, რა გატირებს, ჯარში არ დაუჭრი-
ხარ და ძაღლს არ დაუკლეჯისარ.



— ლატო ჯოსი არ მომეცით, მე... მე... დაძვედა. თოფი ვესლოლე, უფლო, უფლო დაძვედა. გამოძიდვა მეუფა, მეუფა—სლოკინით ამბობდა დათა.

— ჩემო დამარცხებულო, ჯარის კაცო! ნუ სტერი, გენაცვალოს დედა, დამძვიდე გული, მამას მიუწერ---თითონ წაგიუვანოს სათამაშოთ, მანამ კი შენი ტოლი ბიჭები შეკრიბე ჩვენ ეზოში და იმათ ეთამაშე სალდათობა. ნულარა სტერი, ჩემო ნუგეშო, სალდათათ აღარ გაგკზავნი, ქალაქში სკოლაში მიგაბარებ, ანუგეშებდა დედა.


თ. ზ. თარხან-მოურავი.





ცოცხალი ევაგილები.

ლეგენდა.



ოდესაც იესო ქრისტე ექვსი წლისა იყო მან გააშენა სულ ჰატარა ბაღი იმ სახლის უკან, სადაც ცხოვრობდა ეს წმიდა

ოჯახნი.

ბაღი ჰატარა იყო, მაგრამ ისეთი საოცარი სასახისა, რომ კაცს თვალს სტაცებდა. იქ ევაოდა ლამაზი თეთრი ზამბახები, ნარგიზები, გაფურჩქნილი მშვენიერი ვარდები და მათთან ერთად ყოველ-გვარი მინდვრის ჭრელი ევაგილები.

ჰატარა იესო თავის ევაგილებს დიდი სიუვარულით ყოველ დღე რწყებდა, ყოველ ფოთოლს, ყოველ ევაგილის ფურცლებს უფრთხილდებოდა. მას უევარდა თავის ბაღში ევაგილთა შორის ჯდომა და მისი სურნელობით დატკობა.

იესო ზოგჯერ გამოვიდოდა მოკირწულ ქუჩაში და იზატიკებდა თავის ქუჩის ტოლ-ღარბ ბავშვებს—ჰატარა ბაღში. ამ ჰატარა ბაღში ემაწვილები თავისუფლათ ნაზარდობდენ, ცელქობდენ, თამაშობდენ და ტკებობდენ საუცხოვო ევაგილების სუნით. მთელ-მა ჰატარა ქალაქმა იცოდა იესოს ჰატარა ბაღის



ამბავი და ბევრი მიდიოდენ მის სანახავათ და მტრად
ტრფოდენ მის მძევნიერ ვვავილებს.

ერთხელ ჰატარს იესოს ბაღში დიდი სმაურობით
თამაშობდენ უმაწვილები. ერთმა მოჩხუბარ უმაწვილმა
უთხრა იესოს:

— კარგია, კარგია შენი ჰატარს ბაღი, მაგრამ
მე რომ მოვინდომო უკეთესს გავაკეთებ... ამოვთხრი
ამ ვვავილებს, წავიდებ, ჩავრგამ სხვაგან და მეც
ასეთივე კარგი ვვავილები მექნება!

ერმა იესოს თვალებზე სიბრალულის ცრემლები
მოადგა.

— არა, ნუ ასლებ მაგათ ხელს, თქვა მან,—
ეკენი ისეთი ნაწი ვვავილებია, რომ გადარგა—გა-
ფუჭდებიან... სულ ერთი არ არი ვისიც უნდა იქოს
ეს ჰატარს ბაღი: შენი, ჩემი, ან სხვისა? სომ შეგიძ-
ლიან ყოველთვის მოხვიდე, ითამაშო და ისეირნო
რამდენსაც მოინდომებ, მოისურვებ...

მაგრამ მოჩხუბარი ბავშვი არ ცხრებოდა.

— თუ აგრეა, მაშ ნურავისი ნუ იქნება! დაივიღ-
რა მან, მივარდა ვვავილებს, დაუწყო გლეჯა, გადა-
ურა და თან უმოწეალოთ ფეხით გათელა ..

— ნუ იქ, ნუ იქ!.. დაივიღრა ერმა იესომ...
ეკენი სომ ცოცხლები არიან... ეკენაც იტანჯებიან,
ტკივილს გრძნობენ...

და დაიწყო მოგლეჯილი ვვავილების მოგრო-
ვება, თან ჰკოცნიდა და უჩურჩულებდა:

— გაფრინდით... გაფრინდით აქედან! თავს უშვე-
ლეთ!



და... უცბათ მოხდა სასწაული... დაგლეჯილი
წითელი, ყვითელი, ლურჯი ვაზილები ერთიანად
ჯერ ცოტათი შეირხენ, გაძაღეს ფურცლები და მე-
რე ერთბაშად იესოს თავზე აფრინდენ ჭრელ, ლამაზ
და საოცარ ზეპელებათ ქცეული.



რეჟო ალგომას უსარუკროთ დარჩა.



დღგომბ ახლოვდებოდა, მოსაწე-
ენი წვიმა გაბუდებით მოდიო-
და. რესო ფანჯარას მოსჯდო-
მოდა, ბიძია ჰავლეს ნახუქარ სა-
თამაშოს ხელში ატრიალებდა.

წინეთ ძალიან მოსწონდა ეს მწვანე
თვალებიანი და გრძელ უღვაშებიან-
ნი კატა, რომელიც მოძარბავდენ თუ
არა, გარბოდა წინ მიმავალ თავ-

ვის დასაჭერათ.

ოთახში შევიდა ბიძია ჰავლე, აკოცა ემაწვილს
და უთხრა:

— რა ნაირათ მესიამოვნა, რომ შაკ საჩუქარმა
აგრე გაგართო. წითელ ჰარასკევეს წაგეყვან ძალა-
ზიანში და შენ თითონ ამოგარჩევიანებ სააღდგომო
საჩუქარს.

— წითელი ჰარასკევი ძალე იქნება? იკითხა რე-
ზომ.

— ერთი კვირის შემდეგ. დიდხანს არ მოგინ-
დება მოცდა.



ბიძია ჰავლეს დაპირებამ ძალიან გაახარა რესო, დღეებს სულ თითებზე ითვლიდა, თავისი ძმუნე თვალებიანი და გრძელ უღვაძებიანი კატა აღარ მოსდიოდა თვალში და ორჯელ-სამჯელ კიდევ დააპირა მისი ნაგავში გადაგდება.

წითელ ჰარასკეკს დილით ბიძია ჰავლე მივიდა თავის საუვარელ ბიჭუნისთან და უთხრა:

— სთხოვე დედას ჩაგაცვას, წაგიყვან საჩუქრის საუიღლათ.

დედამ ლამაზათ გამოაწყო რესო და დანრიგა, გზაზე არ ეკიხა.

ჰავლემ ხელი მოჰკიდა რესოს და ორივენი ბაზრისკენ გაემუშვნ.

სათამაშოების მაღაზია ახლოს იყო, მაგრამ დიდი მოედანი უნდა გაეკლათ, რომელიც მოახლოვებული დღესასწაულების გამო ხალხით სავსე იყო. რა გინდა სულო ბგულო, რომ აქ არ ჰყიდდენ: ბატონებს, ისვებს, ინდოურებს, გოჭებს, ბატებს. მაგიდებზე ჩამწკრივებული იყო ჰასკები, ლორები და წითელი კვერცხების გროვა. რესო ცნობის მოუვარეობით აქეთ-იქით თვალებს აცეცებდა და თან ბიძიას მაგრათ ჩასჭიდებოდა, რომ გზა არ დაჰბნეოდა.

ესენი ძალე მიუახლოვდენ კუთხის სახლს, რომლის ფანჯრებშიაც ჩამწკრივებული იყო აუარებული ყოველნაირი სათამაშოები.

შევიდენ მაღაზიაში. რესო სულ გადირია, იმოდენა საუცსოვო სათამაშოები რომ დაინახა. თაროებსზე ფერად-ფერადი კოლოფები სათამაშოებით ეწყო:



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდი და ზატარა სის ცხენები, ისვეები, და სხვა. ჩაემწვრიათ ძორთული დედოფლები, მუნ-
დირებში გამოწეობილი აფიცრები, სავერდებში ძორ-
თული ჯამბახები, გალიით ფრინველები, საევირები,
დოლები, სტვირები და აუარებელი სხვა დასხვა
წვრილმანი სათამაშოებით სავსე იყო ძალაზია.

რესომ ჯერ დოლს სტაცა ხელი, უნდა დაეკ-
რა, მაგრამ რომ დაინახა ხარებით შებმული ურემი
იძას მიადგა. ძერე შესვდა სძალთოფს და ამან ურე-
მი დაავიწვა. ბოლოს თვალი მოჰკრა წითელ სავერ-
დებში საცმულ და თეთრ ბუმბულიან ქუდით ჯამბახს,
თითბრის თეფშით ტაშსა სცემდა და ცეკვამდა, თუ
ძართულს ჩამოსწევდენ. ამან სომ სულ გადარია რე-
ზო — ძთლათ გამოძტერდა, არ იცოდა რა ექნა.

— აბა, ამოიღრჩიე რაც გინდა? უთხრა ბიძამ,—
აქ დიდხანს ვერ გაუჩერდებით.

— მე ეველბაფერი მოძწონს, ჩემო ბიძიავ, წამო-
იძასა რესომ,— არ ვიცი თოფსძალი ამოვარჩიო თუ
ეს ჯამბახი, შენ როგორ გკონია, ჩემო ბიძიავ?

— გკ შენი საქმეა, რაც გინდოდეს ის ამოიღრჩიე!
რესომ ცოტა ხანს თოფსძალი ხელში ატრია-
ლა, ძერე ისევ უკანვე დადო, ბოლოს წითელ სავ-
ერდში გამოწეობილ ჯამბახს მიადგა, აცეკვა და
გულში ჩაიკრა.

მაშინ ბიძამ საფუულე ამოიღო, ვაჭარს მისცა სა-
ფასი და ორივენი ნავაჭრით სახლისკენ წამოვიდენ.

რესოს მაგრათ ეჭირა ხელში თავისი ჯამბახი
და სიამოვნებით უღიმოდა მას.



ქუჩაში შესვლა ამათ ერთი ემაწვილი, რომელიც
სის ცხენზე იჯდა და მათთანს აქნევდა. რეზომ წი-
თელი უნაგირით მორთული ცხენი რომ დაინახა და
მწვანე ტყავის მათთანს, გულში გაიფიქრა, რატომ
ცხენი არ ამოვარჩიე, ჩემ ჯამბახს ათას წილათ ეკა
სჯობიაო.

რეზომ ცოტა კიდევ რომ გააარა, დაინახა ემაწ-
ვილი, რომელიც თივით სავსე ურემს მოატრევდა.

რეზო შედგა, გააეოლა თვალი, შეშურდა, ერთი
მძიმეთ ამოიოხრა და თავისთვის თქვა: რა სისულე-
ლე ჩავიდინე, რომ ეს ჯამბახი ამოვირჩიე, — არა
სჯობდა რომ ურემი ამქლო, მეც ხომ თივით ასე
ვატარებდი.

ის იყო სახლს მიუახლოვდენ, რომ მესობელ
სოდან მისი ამხანაგი სერგო გამოვიდა. მხარზე
მას გადაგდებული ჭქონდა თოფი და წელზე სძალი
თანმით ჭქონდა შემორტყმული.

— შემომხედე, რეზო, თოფს რა კარგათ ვისწერი,
უთხრა ამხანაგმა, — დასე, რეგია რა შორს ვარბის!

თქვა თუ არა ეს ემაწვილმა გაისროლა და თოფი-
დან რამდენიმე მუსხდოს დიდი მარცვალი გამოვარდა.

რეზომ ხმა არ გასცა, შეშურდა, თავის ჯამბახსე
გული უფრო აუცრეუვდა, უნდოდა კიდევ ქუჩაში გა-
დაეგდო.

— არა, რა სულელი ვარ, რათ მინდოდა ეს
რადაც ჯამბახი, რაში გამოვიყენებ!

დაბრუნდა თუ არა სახლში, რეზო შევიდა თა-



ვის ოთახში დაღვრემილი და სათამაშო
დაღვა.

— აბა, რა ამოაჩინე? ჭკითხა დედაძე, — რა ლა-
მაში ჯამბახია, რა ნაირათ ცეკვამს და ტაშს უკრავს.

— მე კი სულაც კმაყოფილი არა ვარ, რათ მინ-
დოდა ეს! არა სჯობდა ან თოფსმალი აძელო და
ან ურემი?

— ძალიან შევცდი, რომ სათამაშო გაჩუქე, უთხ-
რა ბიძია ჰავლეძე, — შენ ის მოგწონს ყოველთვის,
რაც სხვებს აქვთ, შურინანი ხარ. სხვა დროს აღა-
რაფერს გაჩუქებ, მშვიდობით, ნუღარ მოელი ჩემგან
ნურაფერს.

— ბიძა შენი მართალს ამბობს, რასაც სხვის ხელ-
ში დაინახავ — ის მოგწონს.

— არ ვიცი რათ მომივიდა ახლათ ამ ჯამბახის
ამოჩინება, დაჟინებით იძულებდა რეზო, — რაში მეკ-
ნაჭება!

— ძალახაში რა ნახე კიდევ გასაყიდი?

— იქ მშკენიერი დიდი და ჰატარა ურემები იყო.

— მაინც, შვილო, რა გინდა, რომ გქონდეს?

— რასაკვირველია, ურემი, ვატარებდი ხოლმე...

— ეს არი ახლა არ იყო, რომ იძახოდით თოფს-
მალი მინდაო! შენ თვითონ არ იცი, რა გინდა.
დასჯერდი იმითი, რაც მოგცეს.

რეზო აღარ უყურებდა თავისს ჯამბახს, მოიძუ-
ლა. ის გაბუტული იჯდა.

მეორე დღიას ბიძია ჰავლეძე გამოეკვანა მსა-
ხური.



— ბიძა თქვენმა გამოგიგზავნათ თოფსმალა ჯამბაზი უკანვე მიბრძოქთ, უნდა დავაბრუნოთ...

რუსომ გამოართვა თოფსმალი. ჯამბაზს ერთი კი სინანულით გადახედა და ისე დაუბრუნა მსახურს.

— ახლა ხომ კმაყოფილი ხარ, შვილო, ეგვე შენი თოფი და ხმალი.

— კმაყოფილი ვარ, მაშ! თქვა რუსომ, — მომე მუსუდო, მინდა ვისროლო.

დედამ გამოუტანა რუსოს მუსუდო.

ემაწვილმა თოფი ერთი ორჯერ კარებს ესროლა, მუსუდო აქეთ-იქით გაფანტა, მეტე თოფი მაგიდასე დადო და მოწვენილათ დედას გვერდით მოუჯდა.

— დედა, ჯამბაზმა კარგათ იცოდა განა ცეკვა?

— მეტე რა ლამაზათაც უკრავდა დაუ-დაფანს.

— მოართულიც რომ მშვენიერათ იყო. რა ნაირად უსდებოდა წითელი სავერდის ტანისამოსი და თეთრ ბუმბულიანი ქუდი.

რუსომ მძიმეთ ამოიხსრა და თქვა:

— ნეტავი ის ჯამბაზი ახლა ჩემთან იეოს, რა დაუ-ნაღარას დავაკვრევენები და ვაცეკვავენები. თოფი კი ვერაფერი ეოფილა!

— შენ თითონ არ იცი, შვილო, რა გინდა! მხოლოდ ის მოგწონს, რასაც სხვის ხელში დანახავ. შურიანი ხარ. მომე ახლავე ეც თოფსმალი, უნდა ვახუქო ჩვენს მოსარეცხე დედაკაცის შვილს, ვასოს — იმას ძალიან გაეხარდება.

ასე მოხდა, რომ რუსო აღდგომის უსახურეთ დაწიხ.



ფეხით მოგსაურობა ჩინეთამდის.



ხლა ვეველა თქვენგანმა იცის, რომ გარდა იმ ქვეყნისა. სადაც თქვენ ცხოვრობთ, კიდევ მრავალი სხვა და სხვანაირი ქვეყნები, და ხალხია დედა-მიწაზე. წინათ კი, როდესაც სხვა ქვეყნებში არაზენ არ მოგსაურობდა, წარმოედგინა მნელი იყო უცხო ქვეყნებზე და ხალხზე. ცხელ ქვეყნების მცხოვრებლებს ვერ წარმოედგინათ, რომ დედა-მიწაზე სადმე არის ისეთი ალაგი, სადაც მუდმივი ვინული და თოვლია. ცივი ქვეყნის ხალხს კი ვერაზენ დააჯერებდა, რომ სადმე განუწყვეტელი საფსულია და ხალხი ტიტველი დაიარება.

ერთ ერთი გამოჩენილი მოგსაურობანი და გეოგრაფიის მკვლევარი იყო ემაწვილი მარკო პოლო, რომელმაც სხვა მოგსაურებსაც უჩვენა ხმელეთითაც და ზღვითაც უცხო ქვეყნების გზები. წინათ თუ ვისამე ემოგსაურნა და ენახა რამე, ნანახს და გაკონილს არ ავრცელებდენ, საიდუმლოთ ინახავდენ. მარკო პოლომ კი, როდესაც თავის მოგსაურობიდან დაბრუნდა, სადაც 23 წელიწადი დაჰყო, ვეველაფერი ასწერა, ისე რომ ვეველა ვეროპიელს ბეძდლო წაეკითხა მარ-



ყო ჰოლოს მოგზაურობა და მისი უცხო ქვეყნების აღწერა.

მარკო პოლოს მამა ვენეციელი ვაჭარი იყო და საქმეების გამო სძირათ მოუხდებოდა ხოლმე მოგზაურობა უფრო ფესით. როდესაც მამა უცხო ქვეყნების ამბებს მოუყვებოდა შვილს, მარკო აღტაცებაში მოდიოდა და სულ მოგზაურობაზე ოცნებობდა. 15 წლის იყო მარკო, როდესაც მოინდომა უცხო ქვეყნების უხათუოთ ნახვა და დიდი თხოვნის შემდეგ მამამ და ბიძამ მარკო ჩინეთში წაიყვანეს. მაშინდელ დროში მოგზაურობა ძალიან ძნელი იყო, ფესით უნდა ეკლოთ და მარკომ გზაში ბევრი ტანჯვა და წვალება გამოიარა. დიდი ვაივაგლახის შემდეგ მოგზაურებმა ჩინეთის დედაქალაქამდის მიატანეს, სადაც მაშინ ბაგდი-ხანათ კუბლავი ხანი იყო. მოგზაურები კუბლავი ხანს წარუდგენ და ძალიან მოეწონენ მას.

მარკო პოლო შემდეგში ბაგდი-ხანთან იხრდებოდა და ეძაწვილი ძალიან შეუყვარდა მას. ძალე მარკომ აღმოსავლეთის რამდენიმე ენა შეისწავლა და ისეთი ჭკუა-გონება და გამჭრიახობა გამოიჩინა, რომ ბაგდი-ხანი სძირათ დესპანათ გზავნიდა ხოლმე მას ინდოეთში, კოხინსინაში და სხვა სახელმწიფოებში. მარკო პოლო იმის გარდა, რომ კარგა ასრულებდა ხოლმე ბაგდი-ხანის დავალებულ საქმეებს, ის დაწვრილებით უამბობდა ბაგდი-ხანს უცხო ქვეყნების ამბებს: ხალხი იქ როგორ ცხოვრობს, რითი ვაჭრობს, რა ქალაქები აქვთ, როგორი, რა მდინარეები და მთებია, რა ენაზე ლაპარაკობენ და სხვა. ბაგდი-



ხანი ისეთი კმაყოფილი იყო თავისი ჭკვიანი დესპანით, რომ ხელგაშლილათ აჯილდოებდა არა მარტო მარკოს—იმის ძამასაც და ბიძასაც.


20 წელიწადზე მეტი გაატარეს ვენეციელებმა ჩინეთში და ბოლოს თავისი სამშობლოში დაბრუნება მოინდომეს. ბაგდი-ხანს, რასაკვირველია, ჯერ არ იაძა მათი გადაწვევტილება, მაგრამ ბოლოს დასთანხმდა და ჩვენი მოგზაურები სამშობლოსკენ გაემკვირვებინა. ვენეციაში რომ მივიდეთ და ნანახ-გაგონილს უამბობდენ, არაფის არა სჯეროდა, ეგელაფური ტუული ეკონათ.

მარკო ძალიან ცდილობდა, რომ დაეჯერებინა თავისი მეძამულეები. ვენეციელებს ისიც კი არა სჯეროდათ, რომ ეს ჭკვიანი, მდიდარი და გამოჩენილი კაცი ის მარკო ზოლო იყო, რომელიც ამ 23 წლის წინათ სადღაც გაქვრა. იმათ ვერ წარმოედგინათ, რომ მოგზაურობას შეუძლია ადამიანის ასე გამდიდრება და გამოცვლა. ძამა-შვილმა და ბიძამ გადასწვევტიეს უთუოთ დაემტკიცებინათ თავიანთი სიძარტლე; დაჭმატიყეს ეგელა თავიანთი ნაცნობ-მეგობრები და საუცხოვოთ გაუძახინებდენ. სტუმრებს ჯერ მდიდრულ წითელ ფარჩის ტანისამოსით დაუსვდენ, მერე სხვა უფრო ღამაზი და ძვირფასი კაბებით ეჩვენენ, ბოლოს სულ ძველ დაკონკილ ტანისამოსით გამოვიდენ, რომდითაც ჩვეულებრივ მოგზაურობდენ. სტუმრების განცვიფრებას სამძღვარი არა ჰქონდა, როდესაც სამივემ თავიანთი ძველი კაბების ნაოჭებიდან ძვირფასი ქვები და თვალ-



მარგალიტი ამოიღეს. ვისაც აქამდის არა სჯეროდა, ამ თვალმარგალიტის ნახვამ სულ გადარქეს.

მარკო პოლომ აღწერა თავისი მოგზაურობა და წერილებით და მისი კითხვით ეველა აღტაცებაში მოდიოდა. ეველას უნდოდა მოგზაურობა, ქვეყნების ნახვა. თვითონ გამოჩენილი ქრისტოფორ კოლუმბი, რომელიც ორასი წლის შემდეგ ცხოვრობდა, დიდი ურადლებით და გულმოდგინეთ კითხულობდა ამ წიგნს. და ბევრი ცნობები მოუხანილი ამ წიგნში ძალიან გამოადგა თავის გამოკვლევებისთვის, როგორ უნდა ევროპიდან ატლანტიის ოკეანის სამუალებით შესულიყო ახალ ქვეყნებში და თავისი განძრახვა აესრულებინა.

კულრაჭა.

„ჯღანუას“ თავგადასავალი


(ზღაპარი)



რის სოფელში ცხოვრობდა ერთი კაცი თევდორე ჯღანუაშვილი. იგი ცოლიანი იყო. ცხოვრობდენ ორი-კენი მარტო-მარტო, სოფლის განაპირა. იგინი იშვილათ მივიდოდენ ვისთანმე და არც არა ამითან მიდიოდა კინმე. თევდორე მუშაობდა: სნაჟდა, სთესავდა, ტყეში დადიოდა; ამისი მეუღლეც სულ სახლში დატრიალებდა: ბაღში მუშაობდა, წიწილ-კრუსს უვლიდა და სადილ-გახსმას უმზადებდა თავის თევდორეს. თუმცა ბედნიერთა გრძნობდენ თავს, მაგრამ მაინც დღე და ღამ სულ იმის ნატვრამი იყვენ, რომ შვილი მისცემოდათ ამათ. მუდამ ჟამს ლოცვაში ატარებდენ და ღმერთსა სთხოვდენ ამ ბედნიერებას... ღმერთმაც უსმინა ლოცვა-ვედრება და წლის თავზე ეყოლათ ვაჟი-შვილი, მაგრამ რა ვაჟი: სიგრიძით სუთი გოჯი და ისეთი დიდ-თავიანი, რომ კაცი ვერ გაუგებდა—ტანს თავი აზია, თუ თავს ტანიო. ვაჟი-შვილის დაბადება ვის არ გაუხარებდა და ამათაც გაუხარდათ, მაგრამ კარგათ რომ დაუკვირდენ ამის ტანსა და თავს, იწინეს, ერთმანეთს გადახე-

დეს ცოლმა და ქმარმა და თვალებიდან ძარგალით
 ვით ცრემლი გადმოუარეს. დარდისაგან მშობიარე ავათ
 განდა, ლოგინათ ჩაუარდა და, როდესაც მისი უმან-
 კო სული ჰატოისან გვაძიან გაერას აპირებდა, მო-
 ინმო თვისი ჭირში და ლხინში განუერყელი თევდო-
 რე და მომაკვდავი სმით ასე უთხრა: — ჩემო სსსო-
 ბავ და ჩემო თვალის ჩინო! სომ ხედავ, რომ მე ამ
 ქვეყანას აღარ ვეკუთვნი, ჩემი დღეები დათვლილია,
 სულთა-ძსუთავი გულს მირბაკუნებს და ამ უკანასკ-
 ნელ წუთში ამასა გთხოვ: გაუფრთხილდი შენ თავს,
 ნუ ინადვლიანებ და ღმერთი კეთილს მოგცემსო... და
 რაც შეეხება ამ თითი მტკაველა ბაღლს, დეე ამანაც
 იცხოვროს. ღმერთის მოვლენილია და შენი ჯიგა-
 რიაო... მხოლოთ ამასა გთხოვ — როცა მონათლო
 იგი, მეტ სახელათ „ბოხვერა“ დაუძახე და შენი ჰა-
 ტოისანი გვარი შუახე გაუღავი და ნახევარი გვარი
 მიეცი, როგორც მის ტანს და თავს შეუფურებაო.
 სთქვა ეს, ერთი კი ამოიოხვრა და განუტევა თავისი
 უმანკო სული. მხე დაბნელდა მწუსარებისაგან და იმ
 სოფლის არე-ძარეს ჯანდი და ბურუსი მოეფინა.


თევდორე დაღონდა, დაძმარდა, მთელი ერთი
 კვირა ნაური არ მიიკარა; ჩამოსმა, წვერ-უღვაში
 აებურბკვნა, თმა წამოეხარდა, ღორის ჯავარივით
 მოეფინა თავს; შესედულობით გიჟს დაემკხავსა, ძაგ-
 რამ კი ნაძღვილი გონება შერჩა, გული უფრო გა-
 უსწეტაკდა, გაუნახდა, გულ-შემატკივრობა მოემატა,
 მეზობლებს აღერსიანათ დაუწყო ლაპარაკი, ეველას-
 თან მისვლა-მოსვლა დაიწყო. „ჯღანუასაც კარგათ



ეკიდებოდა, რძითა და კვერცხებითა ჰკვებავდა, ვარცხნიდა, აბანებდა თავის ხელით და ასე მოვლით 17 წლამდის მიიყვანა... ამის შემდეგ კი თევდორემ ამ ბიჭსედ გული აიცრუა: მობეზრდა ამის მუქთახორობა და უოველ დღე უსაყვედურებდა: — „ან მომ-შორდი თავიდან, ან გაისარჯე და შენი თავი შენ აცხოვრეო“.

„ჯღანუას“ აქამდის ვერ გაეგო, როგორ გარჯილიყო და ჰასუსის მაგიერ ქვეითა ტუჩს გამოაგდებდა და დორბლებს ანთხევდა ჰარიდან და სულ ორ სიტყვას იმეორებდა: „მოიცა და გაემდიდრდებიო“. მამამ დიდი ხანი ვერ გაუძლო ამ „მოიცა და გამდიდრებას“ და ამანაც განუტევა თავისი ნათელი სული.

დაჩნა „ჯღანუა“ ძარტოთ-ძარტო; აქეთ ეკა, იქით ეცა და ვერაფერს ვერ გასდა.. ბევრი ფიქრის შემდეგ აიღო მამის ჩოსა, მიკუწ-მოკუწა, შეამოკლა და ჩაიცო; შამოირტუა მამის ქამარი, მამისავე ხანჯალი ქამარში გაარჭო, მამის ბუსრის ქუდი დაიხურა, მამისავე ჯოხი დაიჭირა, დილა-ადრინათ გამოვიდა სახლიდან და გაუდგა გზას... მეტის მეტათ კარკ გუნებაზე ბრძანდებოდა ჩვენი „ჯღანუა“: მიდიოდა და მიიმდებოდა... კზასედ უეურადლებოთ არაფერსა სტოვებდა... მინის ნატყნებსაც კი ავროვებდა — ეგონა ძვირფასი ქვა არისო. შიმშილით რომ არ მომკვდარყო, სილითა და ძენანრებით იკვებავდა თავს. ღოგინათ დედამიწა ჰქონდა გადაშლილი. ასე ამგვარათ სამი დღე და ღამე იარა და ბოლოს მი-



ადგა ერთს მთასა, ავიდა როგორც იყო იმ მთასზე და შენიშნა, რომ ამ მთის ძირში ქალაქია ამუშავებული. მშენიერი სასახლეები და ბჭევრიალა საგნები ამას თვალსა სტაცებდა, იმედს უფრო უძლიერებდა. — აბა თუ გავმდიდრდები, ამ ქალაქში გავმდიდრდებიო, ფიქრობდა ჯღანუა. დაემო ძირს. ბევრი ხანი არ მოუხდა სიარული და მივიდა ქალაქში. ამ ქალაქში დაიწყო სიარული, მრავალთ მრავალი ხალხი დაედევნა უკან: ბავშვები და დედაბალები ამ უცნაურ კაცს გაუბოძდნენ. ჯღანუა კი ეურადღებას არ აქცევდა ამათ და აგრძელებდა არსენათ გზას: მხოლოდ მას ეს გარემოება აკვირებდა, რომ ამოდენა ხალხში ერთი არავინ არ გამოჩნდა, რომ დასანაურებლათ ვისმე მიეწვია და დასუსტებული ჯანი მოესვენებინა. მის მიძინებულ თვალებს ერთი დიდი სახლი მოეწონა და გადუხვია ამ სახლისაკენ... ათვალ-ჩათვალიერა ეს სასახლე და ბოლოს კიბესთანაც კი მივიდა. უეცრივ კარები გაიღო; თავი გამოყო ერთმა დედ-კაცმა და სძაძაღლა დაიწყო ევირილი:

„შვილებო, მარგალიტებო!

„ღიაბ თქვენთვის კარები;


„მობრძანდით, ჰური მიირთვით,

„თქვენს გამჩინს ვენაცვალები!..

ამ სიტყვების გაგონებაზე აქეთ-იქიდან გამოხტნენ კატები და ძაღლები, თავის მტვრევით აცვივდნენ კიბეზე. ჯღანუა გააკვირვა და გააოცა ამ სანახაობამ. — მოდი მეც გავუვები ამათ და ვნახოთ რა იქნებაო. სთქვა ჯღანუამ და გაჭევა კიდევ. სადაც კატები



და ძაღლები შევიდნენ, ჯღანუამაც იმ ოთახში შემოვიდა
 თავი. დედა-კაცს ცოტა არა ეუცხოვა ამ დაუპატიჟებელი
 სტუმრის კადნიერება და შეუტია: — რომ მოდისარ,
 რას მოდისარ, მე ძაღლებსა და კატებს უძახი და
 არა შენაო; წადი, აქედან გამეცალეო. — აბა, რომ მაგ-
 დებ, რად მაგდებ, მშიერი ვარ და მაჭამე რამეო, —
 უთხრა ჯღანუამ. ამ სიტყვებმა მოარბილეს დედა-კა-
 ცის გული და წება მისცა კატებთანა და ძაღლებთან
 ესადილნა. ჯღანუა გამოძღა და წასვლა დააპირა,
 მაგრამ დედა-კაცმა არ გაუშვა და უთხრა: — დარჩი აქ,
 გაჭმევე, გასმევე და კარგს საჩუქარსაც მიიღებ! შენი
 სამსახური არც ძნელი იქნებაო: უნდა ეური უგდო
 ჩემს კატებსა და ძაღლებს — არ მოაშიო, არ გააციო
 და არ მოაწეინო. ჯღანუა დათანხმდა. დილით ად-
 რე ადგებოდა, ასმევდა, აჭმევდა, აბანავებდა, სხვა და
 სხვა სურნელოვან სითხეს ასსურებდა, გამორეკავდა
 გარეთ და თვალ-უურს ადევნებდა მათ. საღამოზე შე-
 რეკავდა შინ, ავანძმებდა, გაუშლიდა ფარჩის ლო-
 გინს, აბრეშუმის საბნებს დახურავდა და თვითონაც
 მიეგდებოდა სადმე კუნჭულში ხოლმე. ასე რიგ'სედა
 და წეს'სე მიდიოდა საქმე. ჯღანუა მეტის-მეტათ კმა-
 ეოფილი იყო თავისი თავისა და დიასახლისისც არ
 ემღუროდა მას. ცოტა ხნის შექდეკ კი გაძნელდა მე-
 ტის-მეტათ საქმე: ზირუტეუები, მეტადრე კატები, გა-
 თაძამდენ, გალადდენ, თავიანთ აღმზრდელს უურს
 აღარ ათხოვებდენ და როცა დიასახლისი სხვაგან მი-
 დიოდა, ესენი სულ მთლათ გადირეოდენ ხოლმე:
 დახტოდენ ოთახებში, ურევდენ ვეელაფერს, ამტვრევენ



დენ, ახადგურებდენ. ეს არ მოსწონდა დედაბერს. ერთს მშვენიერ დილას ჯღანუას ამ უწესობისათვის ჰირველი გაურთხილება გამოუცხადა და თავისი შვილობილებიც კარგათ დატუქსა. ჯღანუას უველა ეს არ ეჭაშნიკა—დაღონდა, დაძმარდა და დააპირა წასვლა სახლიდან, მაგრამ უფულოთ, სად წასულიყო—ეს არ იცოდა. ერთი-ორი დღე კიდევ დარჩა და ამ ხნის განძავლობაში მიიხედ-მოიხედა და შენიშნა ერთი სულამუდამ ჩაკეტილი ოთახი... ამ ოთახიდან მუდამ რაღაც სმაურობა ისმოდა.—ეს ოთახი უნდა იეკეს ჩემი ბედის გადაძვევეტი,—გაიფიქრა ჯღანუამ,—გავადებ ამ ოთახს, შევალ შიგ და არ შეიძლება იქიდან ხელსცარელი გამოვიდეთ.

კარგი შემთხვევაც მიეცა: ერთხელ დედაბერს სადღაც შიარს მოუხდა წასვლა, სასახლე ჯღანუას ანაბარა დარჩა. ჰირუტევები გარეთ გარეკა, რის ვაი-ვაგლასით გააღო კარები და შევიდა ამ საიდუმლო ოთახში. მიიხედ-მოიხედა და შენიშნა მსოფლოთ ძველი ტანისამოსი და ერთს კუნჭულში ბროლის ჭიქა. წამოავლო ამ ჭიქას ხელი, გავუარდა ხელიდან და დაემსხვრა. ისე თქვენს მტერს მოეკიდოს ცეცხლი, როგორც ამას ცეცხლი მოეკიდა. ამას აღარა დარჩენოდა: ახლავე უნდა გაქცეულიყო სახლიდან, რომ დედაბერს არ შეეტყო ამ ჭიქის დამსხვრევა. ჯღანუამ კიდევ მიათვალა—მოათვალა ოთახი და ერთს კუნჭულში შენიშნა—ქოშები და მის ახლო მიუღებულები მშვენიერი ჯოხი, აიღო ეს ქოშები, ჯოხიც თან გამოაყოლა და მაშინათვე გავარდა სახლიდან.



ძალე მოძორდა იგი ქალაქის არე-მარეს. დაი-
 ღალა, დიქანცა. თავის დღეში არ მოსწრებია ამის-
 თანა სირბილს: რაღაც საიდუმლო ძალა სწევდა მას
 წინ, თითქო ქოშები მიარბენინებდენ ასეთი ძალითო.
 მას უნდოდა ცოტა ხნობით დასვენება, მაგრამ ეს და-
 წევული ქოშები არ აყენებდენ, სულ წინა სწევ-
 დენ... ბოლოს სიქა-გაწვეტილმა წამოიძახა: „შე-
 დექით, თქვე შეჩვენებულეობ“, და ქოშები შედგენ.
 დაღალული, დაქანცული იქვე მიწასე მიეგდო და
 ღრმათ ჩაეძინა. უცნაური სიზმარი ნახა: 17 წლის
 უნახავი ძვედარი დედა გამოეცხადა და უთხრა: შვი-
 ლო! შენ ჯერ არ იცი ამ თვალთმაქცი ქოშების ამ-
 ბავი! აბა ჩაიცივი და ცალ ფეხსე შემოტრიალდი, ისარი-
 ვით გადაკტოორცნის სდაც გენებება; ეს ჯოხი კი
 განძს განზონინებსო: ოქროს განძთან სამჯერ და-
 არაკურე, ვერცხლის განძთან—ორჯელაო.

ჯღანუბამ მეორე დღეს მოინდომა ეველბაფერი
 სცადოს: ჩაიცო ქოშები, მაგრამ ამ დიდ ქოშებში ცალ-
 ფეხსე შემოტრიალება—ადვილი საქმე არ იყო. ორ-
 ჯერ სცადა და ორჯერვე დედა-მიწასე გაიძსლართა.
 მესამეთაცა სცადა და როგორც იყო შემოტრიალდა
 ცალ-ფეხსე; ქოშებმა იგი ჰაერში გააფრინა და ასი
 ვერსის მანძილი ორ წუთში გაარბენინა და ერთს ქა-
 ლაქში ამოაყოფინა თავი. აქ კი გაისადა ქოშები,
 იღლიაში ამოიდო და დაიწყო ქალაქში სეტიალი.

აღექსანლრე ნათამე.





გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი .

სელია, სელია, ყოველ წამს სველია,
უიმისოთ არ ვარგხარ, თუ აიღე ხელია.

წალმა უკულმა გაზრდილი
ვერ შემომიარს ნადირი,
გიორგობისთვის მესტუმრე
თუ ვერ მოგართვა სადილი.

ატნი ტომარა, მატნი ტომარა,
სახელს ქვე გეტყვი, გვარს მიტომ არა.

უ ა რ ა დ ა .

პატარა ქალის სახელი
სამი ასოთი შედგება,
უკულმა რომ წაიკითხო
მუშა ხალხს ხენაში ერგება.
თავში თუ უხმოს მოუწერ,
ვაჟის სახელათ იქცევა,
ამასაც წინ მიუმატე
უხმო ასოი ისევა:
მაშინ შენობას მიიღებ,
სად ქვეა-გონება იწვრთნება,
აბა, ვინ მეტყვის საჩქაროთ
მთელი რა სიტყვა იქნება?



პირველი ორი ასოა,
ბოლო ჭაობის ძირია,
მთელსა კი წერისთვის ხმარობ
ფასათ არ არის ძვირია.


საპასუხო კითხვა.




თეფშიდან, რომელშიაც 12 კვერცი იყო, 12-მა ბავშმა თითო კვერცი აიღეს და თეფშზე კიდევ ერთი კვერცი დაარჩა, როგორ მოხდა ეს?

რ ე ბ უ ს ი.

(წარმოდგენილი მათიკაშვილისაგან)

ბ უპი მ   ნაცვალსახელი $\frac{1}{12}$ ე

დ  მზე როდის ამოდის? ზ


 ს 100,  ,  - ტ

ა ხ ს ნ ა.

გამოცანებისა: რწყილი, სიმინდი, ბორკილი წურბელა.
 საპასუხო კითხვებისა: შვილის სურათი იყო, ცხვრები ერთი ერთმანეთის პირდაპირ იდგნენ, ექვსი წლისაა.
 უჯრებში სწერია. მომილოცავს, ბავშვებო ქრისტეს აღდგომა.
 რებუსი: გავახაროთ ერთმანეთი, დაჰკარით კვერცი.



გაზატხული.



ვლავ მოფრინდა გაზატხული,
ფრთა-ქრელი და ფრთა ლამაზი,
აქ ტყე-ველი აზურმუხტდა,
იქ—აკოკრდა ბუჩქნარ-ვაზი!..


მთამ მოისხა თეთრი ჩადრი,
აჩუხჩუხდა ნაკადული
და შიგ ოქროს თმებსა იბანს
მშვენიერი მზის ასული!..

ვიშ, ბუნებავ, რა კარგი ხარ,
საზეიმოთ მოკაზმული!
დიდება მას, ვინც შთაგბერა
უკვდავების ძალა, სული!

ვ. რუხაძე.



ფ ა რ ვ ა ნ ა



რთ მშვენიერ მაისის დი-
ლას ჰაწია აბრეშუმის
სასახლეში განსვენე-
ბულ ფარვანას ხელ-
წაკრულივით უცებ გა-
მოელვოდა. მან გაშავე-
ბულ ნაქვრეთიდან ჯერ

დინჯათ უღვაშები გამოყო, შემდეგ მზე რომ დაინახა ნაზი
ფრთები სიხარულით შეათამაშა და გასწია, გაფარფატდა. პირ-
ველათ იგი ისე უღონოთ მიტორტმანებდა, გვეგონებოდათ
მთვრალიაო, მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ არცარა უიმისო
იყო, რადგან თვალის ახელვისათანავე მრავალფერმა ქვეყნიე-
რებამ ძლიერ გაანცვიფრა და შექქიფიანებულ კაცივით თავ-
ბრუ დაასხა.

ვინ იცის რა არ იხილა: ზემოდ ლურჯი ცა, როგორც
გზირი ყოველ მხრივ წინ ისე აუძღვა; ზურმუხტის მზგავსი
ლამაზი მდელიო ზღვავევით გადაეშალა; ძვირფას თვალ-მარ-
გალიტით მორთულ-მოპრანქულმა ყვავილეებმა თვალეები მთლად
აუჭრელა.

ახლა საქმე ის იყო, რომ ყველა მას ევატიეებოდა, უცი-
ნოდა და ხელს უქნევდა. ფარვანა კი გაბუტულივით ჯერ
ყველას ერიდებოდა, შორი-ახლო დაფარფატებდა და გაოცე-
ბით თვალეებს აქა-იქ აცეცებდა. ზოგჯერ, თუ რომელიმე ყვა-
ვილის კალთაზედ გული დაქანცულობით გადაუფერდებოდა,
ყვავილეები სიხარულით მისცვინდებოდნენ, ზალერსებდნენ და
მშვენიერი სუნით აბრუნებდნენ. საკვირველია, ან კი ისე გა-
მოუცდელი რატომ ქკუაზედ არ შესცდა იმდენი შთაბეჭდი-
ლების გამო. მუსიკამ და მღერამ ხომ ერთი სიტყვით თავ-
ბრუ დახვია.



ავერ მის გვერდით ფუტკარი ისეთას მიჰქრის და მიზნუ-
 ზუნებს, გეგონებათ მაყრიონის თავიაო. და ამაზედ მეტი და-
 დი სხვა არაფერი არ აწუხებსო. მინდვრისაკენ მიეშურება,
 თუ რუს პირათ ნახ წყლისინას ჩაეკონება, სულ მღერის; ასე
 ვასინჯეთ მტერსაც კი სიმღერით იგერებს, სიმღერით იბრძვის.
 ქვემოთ თხილის ბუჩქზედ დილა აღრიან კალია ფოთლებს
 შეჭფარებია და დაჟინებით გაჰსისინებს:

— სუ, სუ... ს... ს... ს... ს, გაჩუმდით, მგოსანი გალო-
 ბას იწყობს, ყური დაუგდეთ და ქვეყნის ამბავი შეიგნეთო.
 — მართლაც ამ წამს უცებ გაისმა რაკრაკი და არე-მარე თა-
 ვისი ხევ-ხუვით ხმებით აივსო.

მოჰკრა თუ არა ფარვანამ ყური, გული რაღაც სევდით
 ავესო; საკვირველია, იმ სიმღერამ უწინ ის აგრძნობინა, რომ
 დღე მოკლე ჰქონდა და აკი გუნებაში უნებურათ ასე შე-
 ჰლალადა:

— ღმერთო, ღმერთო! ამდენი გრძნობით ჯერ ნუ მომ-
 კლავ, მინდა მეც ვსთქვა რამე, მინდა ენა ამოვიდგა და მეც
 ვიმღეროვო— ამ ღალადთან ერთად მას უნდოდა ენის ამო-
 ძრავებაც, მაგრამ ამოდ—უსიტყვოთ იყო წარმოშობილი და
 სამუდამოთ მუნჯათ უნდა დარჩენილიყო. ახალ და გამოუ-
 ცდელ ქვეყნის სტუმარს თვალი ჯერ ხეირიანად არ გაეხილა
 და თეროს ყვავილზედ მიყრდნობილი ცრემლებს კიდევ აფრ-
 ქვევდა. ან კი განა სატირელი არა ჰქონდა, როცა ყველას
 ხედავდა, ყველასა გრძნობდა და იმ გრძნობის გამოსახატავათ
 არავითარი ძალა არ შესწევდა.

— ვერა, ვერა, ვერ შემოძლიან მოთმენა, წავალ სადმე
 გაღვიკარგები, ქვეყანას ნიავექარათ მოვედებო, მტერს თუ
 მოყვარეს ყველას გულს მაგრა ჩავეკონები და იმას მაინც გა-
 ვიგებ, მე რიდასთვის ვარ გაჩენილი, თუ კი იმასაც ვერ შე-
 ვიძლებ, რომ ის მაინც ვაღვიარო, რა რიგად მიყვარს და
 მოაცებს ეს მშვენიერა ქვეყნიერება... მაშ არ დავბრმავდე,
 არ მოვისპო, როცა ირგვლივ ყველა რაღასაც ხატავს, რაღა-
 საც ამბობს და მე კი არაფერი არ შემოძლიან?!

განაგრძობდა თავისთვის ფარვანა და თან მაღალ წნორ-
 ზედ მძივებივით გამწკვრივებულ შოშიებს განცვიფრებით გა-
 სტკეროდა.



მართლა დიდ ლხინსა და დროს გატარებაში, რაცნაღმ
 წამს შოშიები: ერთი მათგანი პირით ათას ნაირად მუსიკას
 ახალ პატარძალივით თავ-გამოდებით აწიკწიკებდა; მეორე—ყვი-
 თელი ნისკარტით ისეთ ტაშს უკრავდა, რომ ქვემოდ, ბებერ
 ქედანს ვერ მოეთმინა და ფრთა აფხარბილი ლეკურს უვლი-
 და. მესამე კოტა განცალკევებით იმათ თამაშზედ თითოს ისე-
 თას გამოუსტვენდა, გეგონებოდათ ყველას მასხარათ იგდებ-
 სო, მაგრამ იმას ის უფრო უხაროდა, რომ მის პირდაპირ
 გამოქვაბული კლდე მაჯავრელასავით ეპასუხებოდა. მზე ამ
 დროს მთას ნელა უახლოვდებოდა და ტყის კალთებადან შე-
 მოქრილი ისე ტკბილათ იღიმებოდა, თითქოს თვითონვე უხა-
 როდა, რომ მის შემოქმედება ისე თვალ წარმტაცი და ლამა-
 ზი იყო. ფარვანამ ველარ მოითმინა, ყვაილებს ძალით გა-
 მოუსხლტდა და შორით გაფრინდა. იმ წამიდან იწყო განუ-
 წყვეტლივი წანწალი. ერთ ალაგას გული ვერ უსვენებდა,
 დაძწოდა დაუწყნარებლივ და ვინ იცის საღამომდინ რამდენ-
 ნი რამე თავს არ დაატყდა. მასთან ერთად რაც უფრო დრო
 გადიოდა და მის თვალებს სხვა და სხვაობა შეუწყვეტლივ
 ესახებოდა, ფარვანას გულში რაღაც იმედი ებადებოდა.

— ეს ქვეყანა დიდია, თითქოს დაუსრულებელი და არ
 იქნება, რომ მასში მხსნელათ არავინ არ გამოიძინდესო. ამ
 იმედით დაქანცული ფარვანა საღამო-ჟამზედ წყაროს ახლო
 ზამბახს ეწვია, კოტას შევისვენებ და გზას ისე გაუდგებო—
 იფიქრა იმან, მაგრამ ზამბახის ოდნავ რხევას გადარწმუნულ
 ბაღლივით სიამოვნებით გაუტვრინდა და ერთ წამს კი ჩაეძი-
 ნა. თუმცა კი აბა რა ძილი იყო, როდესაც ათას გვარი ხმე-
 ბი და სურათები, როგორც ცხადლივ, ძილის დროსაც გარს
 ეხვეოდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ. ისე რომ საწყალომა
 პირველი ძილი სიფხარისგან ვერ გააჩნია. მხოლოდ საღამო
 ჟამზედ, მზე რომ მთას მოეფარა, გრილმა ნიაჟმა დაჰბერა,
 ფარვანას აბრეშუმის მზგავს სხეულს ნაზად შეეხო და თვალე-
 ბი გაახელინა. გამოეღვიძა, მაგრამ იმ გვარ გამოღვიძებას სა-
 მუდამოთ რომ სძინებოდა ის ერჩივნა. გამოღვიძებისათაჟვე
 გულმა ფანცქალი დაუწყო, მთელ სხეულში ჟრუანტელომა
 დაუარა და მეტი შიშით ისეთაც უმეტყველო ენა უფრო დაუ-
 დონა. მან თვალეზვიო ხელი მიისვ-მოისვა, მაგრამ გარშემო



უცხო იყო და საშინელება, მხიარული და ლამაზი ოქროს
ბურთი აღარსად სჩანდა; შორიდან ქანდრები ძაძით მოსილ
და თავ ჩაღუნულ მგლოვიაარესავით მოსჩანდნენ; ყვავილებს
კი თავი ისე დაეხარათ, ისეთი ნაღვლიანი სახე მიეღოთ, გე-
გონებოდათ ქვეყნის განადგურებას ელოდნო. ყრუ, ბნელი და
მოწყენილი იყო ყოველივე, რასაც კი თვალი მოეველებოდა...

— ღმერთო. ეს რა მომდის, მუნჯს და უენოს ახლა
თვალთაც დამიბნელდა, თუ თვით ქვეყანა უბედურებამ მოი-
ცვა? — გაიფიქრა აცახცახებულმა ფარვანამ, თან თვალევი უფ-
რო ძლიერ გაახილა და მიაშტერდა. უკვირდებოდა იგი ყვე-
ლაფერს, მაგრამ რანდენადაც ირგვლივ შავ-ბნელი ეუცხოვე-
ბოდა და შიშის ზარსა სცემდა, იმდენათ მთელი დღის შთა-
ბეჭდილება გონებაში უფრო უძლიერდებოდა, წარსული უფ-
რო მშვენიერი სახით ეხატებოდა. თუმცა სიბნელისა ძლიერ
ემინოდა, მაგრამ სწორედ ის სიბნელე იყო მიზეზი, რომ მან
ველარ მოითმინა, ერთი ღონივრათ შეიფხობიალა და შავ
უფსკრულში მიიმალა. გავარდა, მაგრამ სად? თვითონაც არ
იცის სად და რისთვის, მხოლოდ აშკარა ის იყო, რომ ერ-
თხელ სინათლის მნახველი სიბნელეს ველარ შერიგებოდა,
მით უმეტეს, რომ გამოუცდელმა არ იცოდა, რომ იმ სიბნე-
ლეს განთიადისას ნათელი ისევ მოჰყვებოდა.

ვინ იცის გზაში რამდენ უბედურებას არ შეეხება; ჰაწია
შუბლით ნორჩ ღეროებს უთვალავათ შეეფეთა და მეტი სიმ-
წარით თვალევიდან ბევრჯელ ცეცხლი წარმოაფრქვია. მაგ-
რამ მაინც მიჰქროდა, გაგიჟებული სინათლის კვალს დაეძებ-
და და მართლაც ტანჯვამ ამაოდ არ ჩაუარა:

ბშირ ქალის ქვემოდა, ჰატარა ფერდობიდან უცებ შუქი
გამოჩნდა, შუქი ისე მოცინარი, ისე კეთილი და მშვენიერი!..

ფარვანას სიხარულით ძალა და ღონე გაუორკვედა, ელ-
ვასავით გაეჭანა და ერთ წამს ფანჯრიან კარებს მიადგა, ეცა,
უნდოდა ნიავევით შექრილიყო, მაგრამ უკან ისე გადავარდა,
თითქოს ვინმემ ხელი ჰკრაო. სიხარულით ატაცებულმა არ
გაიკვირვა და არ დაბრკოლდა, მალე ისევ წამოდგა და მოუ-
სვენრათ მინეზხედ აღმა-დაღმა ფოთიალი დაიწყო. დიდხანს
ვერაფერს გახდა და ბოლოს ასე შეეხვეწა:

— ისე ნუ მომკლავ, შემისვი, რომ თავს შემოვევლო,



ერთი ამბორით მეც ვაგრძნობინო რა ძლიერ მიყვარს, რა მშვენიერია და ურომლისოთაც სიცოცხლე მხოლოდ სატან-ჯველიაო.—მაგრამ მუნჯი და უენო ვის რას გააგებინებდა, ვინ მიხვდებოდა იმას გულში რა უტრიალებდა, იმ დროს, როცა იგი გამწარებული ზემოდან ქვემოდ დარბეულივით დაქანდებოდა და ახლა ქვემოდან თავ-ბრუ დასხმული ზემოთკენ გატრიალდებოდა. შემდეგ, რაკი ძალა დაადგა და დაიქანცა აივანზედ მოწყვეტილი ფოთელივით ისეთ ნაიზად დაურბინა, თითქოს უკანასკნელათ ფიქრობდა, რა საშუალება ეხმარა. ამ ტრიალის დროს, ფარვანა შეუმჩნევლათ ფანჯარის მხარეს მოექცა და ხელ-ახლათ იგი მდელფარებამ აიტაცა. ფანჯარიდან უფრო დიდი შუქი აივანზედ შემოჰკრილ თუთის ტოტებს ეფინებოდა და მწვანეთ გაფოთლილს, იმ საერთო სიბნელეში სიცოცხლის ელფერს აყენებდა, ფარვანა ახლა კი გამეტებით გაექანა, გადასწყვიტა ფანჯარა ან თვისი გულით უნდა შეენგრია, ან იქვე სული დაეღია.

გაექანა და ღახეთ ბედნიერებას—ფანჯარა ღია დაუხვდა. ჰეპელა თავისუფლათ შეფრინდა და სიხარულით თავ-ბრუ დასხმულმა გარს დაურბინა.

იგრძნო მაცოცხლებელი სითბო, თვისი ბრწყინვალე ტან-საცმელი ისევ კარგათ დაინახა და ახლა ასე მიმართა:

— ნუ, ნუ მიწყენ, მშვენიერო, ენის ამოდგმას არასოდეს აღარ ვინატრებ, მუნჯათ ვიქნები მთელი სიცოცხლე, ოღონდ შენ ასე გიმიზირო, ოღონდ ვგრძნობდე შენს დიდებას და ქვეყნის მშვენიერებას ვხედავდე...—

ღალღებდა გულში ჰეპელა და სიხარულით აღტაცებული სანათს გარშემო თავ-დავიწყებით უვლიდა. ვინ იცის როდემდის უნდა ერბინა, რომ უცებ არ შეემჩნია, რომ შუქი თითქოს უწყრებოდა, მის ღალღას ყურს არ უგდებდა და ნავთ გამოლეული პატრუქი ნელ-ნელა სადღაც იპარებოდა. გამწარებულმა ფარვანამ უფრო სისწრაფით იწყო ტრიალი, თავ განწირვით გარს ევლებოდა, მდულარებით ემუდარებოდა, მაგრამ რაკი შუქმა არ დაინდო, ჰეპელამ წამს გარდასწყვიტა ძალით მაინც დავიქერო, იშვირა ფეხი, შიგ ჩაუხტა და სინათლის მონატრულმა პატარა შუქი თვითონ უფრო მალე ჩააქრო. ჩააქრო, მაგრამ არც მას დაადგა კეთილი: მწუხარე და გააფთრებულმა მის გახურებულ კვალს უკანასკნელათ სასოებით ეამბორა და ერთ წამს, როგორც ის შუქი, მისი ცხოვრება და ძლიერი ლტოლვაც ისევე აქ არა.

მეფე და ოქრომჭედელი.

(ს რ ა კ ი)



რთმა მეფემ კარგი გამოცდილი, ოქრო-
მჭედელი დაიბარა და უბრძანა, რომ
ისეთი კარგი ოქროს ბეჭედი გამოიკეთე,
რომლის მსგავსი არც ერთ მეფეს არ
ჰქონდესო და რასაც მთხოვ, გაჩუქებო.

ოქრომჭედელმაც შეასრულა მეფის
ბრძანება, გააკეთა მშვენიერი ბეჭედი
და მიართვა; მეფეს ძალიან მოეწონა
ოქროს ბეჭედი და უბრძანა მას, რა
მოგცე ამ ბეჭედშიო? ოქრომჭედელმა
მორჩილებით მოახსენა: „რაც აიწო-
ნოს ბეჭედმა სიმძიმით, ორი იმდენი

ოქრო მიბოძეთ, რადგანაც ერთი წონა თვითონ ბეჭედის მა-
სალა ღირს და მეორე წონა კი ხელფასათ უნდა ავიღო“. მეფეს
გაეხარდა, რადგანაც ოქრომჭედელმა მეტი არასფერი
ითხოვა და უბრძანა კარის კაცებს და ხაზინადარს:

„წაიღეთ ეს ბეჭედი ხაზინაში, ამ ოქრომჭედლის თანა-
დასწრებით გამოწონეთ და რაც აიწონოს, ორი იმდენი
ოქრო მიეცით“.

კარის კაცებმა და ხაზინადარმა მიიტანეს ხაზინაში ბეჭე-
დი, დადვეს სასწორზე, შემოუწონეს ოქრო, მაგრამ ბეჭედი
სასწორზე ისეთი მძიმე აღმოჩნდა, რომ თუმცა მრავალი ოქ-
როს ზოდები დააწყეს, მაინც ვერ დაძლიეს, ბოლოს გამო-
ცვალეს სასწორი, დიდი სასწორი მოიტანეს და რაც ხაზინა-
ში ოქროები ეწყო, ყველა დააწონეს, მაგრამ ბეჭედი მაინც
ვერ დაძლიეს; გაკვარვებული და შეშინებული კარის-კაცები



და ხაზინადარი მივიდნენ მეფესთან და მწუხარებით მოახსენეს:

„დიდებულო მეფე! მთელი თქვენი ხაზინის ოქრო ავწონეთ, მაგრამ ბექედი წონაში ისეთი მძიმე აღმოჩნდა, რომ ვერ დაძლია, ხაზინა გველუპება და გვიბრძანეთ, როგორ მოვიქცეთ?“

მეფე ძალიან შეაწუხა ამ გარემოებამ და მაშინათვე დაიბარა თავის სასახლეში სამეფოს წარჩინებულნი და ნასწავლნი პირები, აჩვენა მათ ბექედი და უთხრა: „აი, ეს ბექედი, ხელში რომ აიღებთ, მჩატეა. სასწორზე კი ისეთი მძიმე გამოდის, რომ მთელი ჩემი ხაზინის სიმდიდრე—ოქრო არ ჰყოფნის წონაში, აბა, ვინა ხართ ბრძენი და გამოცდილი, გამიგეთ, თუ რა არის აქ მიზეზი?!“ ყველამ სათითაოდ ბექედი აიღეს ხელში, თითხედაც გაიკეთეს, ატრიალეს ხელში, მჩატეა, ჩვეულებრივი ბექედია, დაადვეს სასწორზე, მაგრამ ისეთი მძიმე აღმოჩნდა, რომ მეფის ხაზინის ოქროები წონაში არ ეყო. შეწუხდა მეფე, შეწუხდნენ წარჩინებულნი და ნასწავლნი პირებიც, რადგანაც ვერ ასფერი ვერ გაუგეს. ბოლოს იქ დამსწრემ ერთმა, ღრმათ მოხუცებულმა მეფის კარის კაცმა, აკანკალებული ხმით მოითხოვა სასწორი, დადო ზედ ბექედს, მეორე გვერდით დიდი ვეებერთელა ოქროს ზოდი შემოუწონა, მაგრამ მაინც კიდევ ბექედმა დასძლია, იმ დროს მოხუცმა იქვე აიღო ცოტაოდენი მიწა, მოაყარა ბექედზე და მაშინ-კი ოქრომ დაძლია ბექედი, შეიქნა ერთი ტაშის კვრა, გაოცდა მეფე, გაუკვირდათ დამსწრე სწავლულებს და წარჩინებულებს, მოხუცს წაავლეს ხელი და „ვაშას“ ძახლით სულ ხელით ატარეს; მეფემ ჰკითხა მოხუცს, როდესაც მიწა მოაყარე, რატომ შეიქნა ბექედი შესაფერისი წონის, რომ პატარა ოქრომაც კი დაძლია? მოხუცმა მოახსენა:

„დიდებულო მეფე, ამ ოქროს ბექედში უქვევლათ ადამიანის თვალი იქნება ჩატანებული და კაცის თვალი კი იმდენათ ხარბი, შურიანი და გაუმადლარია, რომ მიწის მეტი მას ვერაფერი ვერ გააძლებსო, ამიტომაც ცოტაოდენი მიწა რომ მოვაყარე ბექედს, შიგ კაცის თვალი მხოლოდ მაშინ გაძლა და ამიტომ ბექედიც თავის შესაფერის სიმძიმეზე დადგაო“.

მეფემ მაშინათვე დაიბარა იმ ბეჭდის გამკეთებელი ოქრო-
 მჭედელი და უბრძანა: „დაშალე ეს ბეჭედი და მაჩვენე შიგ
 რა უდევსო“. ოქრომჭედელმა მთლათ დაარღვია ბეჭედი და
 შიგ მართლაც ადამიანის თვალი აღმოჩნდა. მეფემ ოქრომჭე-
 დელი ათასი ოქროთი დააჯილდოვა და თანაც თავის სასა-
 ხლეში მისცა ბინა ამ მოხერხებისთვის და ბრძენ მოხუცს კი
 მუდმივი მოწყალება დაუნიშნა.

მღვდ. ბესარიონ ვაშაძე.



მზრეპი

რუს-იაპონელთა ომის ამბავი.

(ინფანტიევის).



ერთხელ მალალ ცოცხობანა ბალახთ*) გაუვალ მინდორში რუსის მოწინავე ჯარმა, იაპონელებთან შეტაკების დროს, უკან დაიხია და ვერ მოასწრო ყველა დაჭრილების აკრეფა. იაპონელებმაც შეიტყეს, რომ რუსების საშველათ ჯარი მოდისო და იმათაც ბრძოლის ველი საჩქაროთ მიატოვეს.

და იმ ადგილას, სადაც ის იყო სისხლის ღვრა და თოფ-ზარბაზნის ქექა იდგა იღუმალი სიჩუმე ჩამოვარდა. ხოლო ხან და ხან მოისმოდა ყრუთ ზარბაზნის ხმა, ეტყობოდა, რომ სადღაც შორს არის საკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ბოლოს ეს ხმაურობაც მიწყდა.

დიდი სიციხე იდგა. მზე უმოწყალოთ სწვამდა. ჰაერში ორთქლის ბული ტრიალებდა. ჰაჭანება არა ჩანდა, ყველა ცდილობდა მწვავი საცხისაგან თავი აეცილებინა და სადმე ჩრდილი და სიგრილე მოენახა. მხოლოთ ბრძოლის ველზე თავის გუნდისაგან მოწყვეტილი ყვავ-ყორანი ჩხავილით დასტრიალებდა მინდორში დავლას.

ახალგაზრდა ჯარის კაცი სტეფანე მესჩერიაკოვი მარჯვენა ხელში დაჭრილი, მწარე ტკივილისაგან და სისხლით ღაღადილი, უკონოთ ეგდო ბრძოლის ველზე. ამხანაგებს წასვლისას ვერ შეემჩნიათ და მიეტოვებინათ. ეს არი ახლა საცოდავი გონზე მოვიდა, თვალები აახილა, გაკვირვებით აქეთ იქით მიიხედ-მოიხედა, სად იყო, ვერ მიმხვდარა იყო. მის გარშემო აბრე-

*) იაპონიაში ცოცხობანა ბალახს ეძახიან „გალიანს“.


შუმის კაბის შრიალივით მოისმოდა საიდუმლოებით მოცული ცოცხობანა ბალახის შრიალი. ამ მცენარეთა შორის მიმალული იწვა ერთი დაქრილი მეომარი. „სადა ვარ?“ ფიქრობდა სტეფანე. და ცოტ-ცოტა გონს მოდიოდა. უნდა წამომდგარიყო, მაგრამ მარჯვენა ხელზე დაებჯინა თუ არა-იგრძნო საშინელი ტკივილი. მაშინ მოაგონდა ყველაფერი.

იმ აზრმა, რომ ის ამხანაგებისაგან მიტოვებულია მარტო-მარტო, დაქრილი და უპატრონოთ, უცნობ ადგილას, გული მოუკლა, იგრძნო თავისი საშინელი მდგომარეობა.

ფრთხილათ ასწია თავი, რომ ენახა გარშემო რა ხდება. მაგრამ მალალი ბალახი თავამდის მოუვიდა და ვერაფერი დაინახა. წყლული მწარეთ სტკიოდა, სისხლი უმოწყალოთ სდიოდა. სტეფანე ისევ უღონოთ მიწაზე დაეშვა, მერე როგორც იყო თავისი სალაშქრო ჩანთიდან ამოიღო სუფთა პერანგი, კბილებით ჩამოხია ნაჭერი და კბილებისავე და საღი ხელის საშუალებით, როგორც იყო, შეიხვია იარა. მერე გადიგლო ჩანთა მხრებზე, საღ ხელში აიღო მიწაზე დაგდებული თოფი და უცაბედათ გაუდგა გზას ბალახთა შორის. სტეფანე მალე გავიდა ჯარისაგან გათელილ პატარა მოედანზე, საიდანაც ჩანდა მთელი გარშემო არე-მარე. ბოლოს დაინახა კარგა სიშორეზე გაუვლელი მალალი ბალახით მინდორი, მის იქით მოღუჯოთ იხედებოდა ტყე და კიდევ იქით ტიტველი გატრუსული ადგილები.—რა ექნა, საითკენ წასულიყო! სად არის ახლა ამათი ჯარი? სად არიან იაპონელები! როგორ მოიქცეს ისე, რომ თავისიანების მაგივრათ, იაპონელების ხელში არ ჩავარდეს! აი, რა ფიქრები უტრიალებდა თავში დაქრილ სტეფანეს.

„ყველაზე უფრო ემჯობინება იქით მხარეს წავიდე, საითაც მზე ჩადის და საიდანაც ჩვენი ჯარი წამოვიდა“. ფიქრობდა ის. მაგრამ აქ კიდევ სხვა საკითხი აღმოჩნდა: როგორ უნდა გაეგო—მზე საით ჩადის, როდესაც მზე ახლა ზედ თავზე აღგა? საბრალო იბნეოდა, არ იცოდა საითკენ წასულიყო, როგორ მოეწყო საქმე.

შუადღის მზე უმოწყალოთ სწვამდა. თავი გაუხურდა. უზომო წყურვილი აწუხებდა, გონებას ჰკარგავდა. გრძობდა, რომ მთელ ჭას შესვრიპავდა. თავის პატარა ქურქელში კი წვეთიც არ მოიპოვებოდა.



ორივე მხრივ კედელივით მიდიოდა მაღალი ბალახი და მათ შორის გავლა საგრძნობელათ საშიში იყო, — იაპონელებს რომ წააწყდეს, ან ხუნხუზებს, რომელთაც ბრბო დახეტიალებდა ამ არე მარეში — რა ეშველება?

სტეფანე უნდობლიათ უყურებდა შუა გულ მინდორში საიდუმლოებით ამართულ მაღალ ბალახს და მათ შორის თითქოს უნდა გაეგო რა საფრთხე მოელოდა?

მას უცბათ გული აუკანკალდა: დაინახა, რომ ერთ ადგილას მაღალი ბალახის ღეროები შეინძრა და სწორეთ იმისკენ ვილაც ფორთხვით, არც თუ პირუტყვი, არც თუ ადამიანი, იპარებოდა.

სტეფანემ მაშინვე მოიპარათა თოფი, მარჯვენა, დაშავებული ხელი ჩახმახისკენ გაიწია, თუ რომ გამოჩნდებოდა იდუმალი არსება — ესროლა.

— შედექი, ძმაო, თოფს ნუ ისვრი! მეც შენსავით დაქრილი ვარ! მოისინა საიდანღაც ხმა.

სრული დარწმუნებული, რომ ეს დაქრილი რუსი უნდა ყოფილიყო სტეფანე მივარდა საშველათ და რანაირათ გაუკვირდა, როდესაც მცენარეებიდან გამოცოცდა იაპონელი.

სტეფანე სულ დაიფანტა, არ იცოდა რა ექნა.

ამ ადამიანის მეჭათ განსხვავებული შეხედულობა: სახის მუქი ფერი, ვიწრო თვალები, ამასთანავე იაპონურის ჯარის კაცის ტანისამოსი, ეჭვი არ იყო, ამტკიცებდა, რომ მის წინ იდგა მისი სამშობლოს მტერი.

— ჩვენ არაფერ არა გვაქვს გასაყოფი ძმაო! ერთი მიშველე, იქნება მეც რასმეში გამოვადგე, უთხრა დაწყნარებით იაპონელმა, რომელიც ძლივ-ძლივობით დაქრილ ფეხს მიათრევდა.

სტეფანემ რომ დაინახა თავისი მტერი უთოფ-იარაღოთ, უმწეოა, დამშვიდდა, თითქოს გაეხარდა კიდევ, რომ ძე-ხორციელს ვისმეს ხედავს.

— გეტყობა შენც მოგხვედრია ტყვია, თანაგრძნობით უთხრა მან — თოფი მიწაზე დადო და მიუახლოვდა იაპონელს, რომ ამ გაბმულ-გამოძმულ ბალახებიდან გამოეყვანა იგი.

იაპონელი სტეფანეს უმეწეობით გამოვიდა გაშლილ სწორ ადგილას და მძიმეთ მიწაზე დაეშვა. მერე ამოიღო თავის ჩან-

თიდან ტილოს ნაძენძი, შესაკრავი ტილო, რაღაც მალამო წაისვა იარაზე და სთხოვა სტეფანეს ეშველნა იარის შეკვა. იმანაც რასაკვირველია სიამოვნებით უშველა. როდესაც ფეხი შეჰკრეს, იაპონელმა სთხოვა სტეფანეს მალამოს შენც დაგადებ და ხელს შეგიკრავო. მართლაც დიდი ხელოვნებით შეუხვია იარა.

— რა საშინელი სიცხეა, სასმელი ხომ არა გაქვს რა? — მოკრძალებით ჰკითხა სტეფანემ.

— როგორ არა მაქვს, ჩემი პრტყელი ჭიქის ჭურჭელი ჯერ ხელ უხლებელია, გინდა კონიაკსაც მოგცემ, წყურვილს მოგიკლავს. უთხრა იაპონელმა და მიაწოდა სტეფანეს წყალი, მერე ჩანთიდან ამოიღო ბოთლი კონიაკით.

ორივე დაჭირლებმა მცენარეებიდან ფანჩატური გაიკეთეს, რომ მზისგან დაეფარათ თავი, და ღისხდენ საბაასოთ, თან ერთმანეთს კონიაკს და ბრინჯიდან გამოხდილ არაყს უთავაზებდენ, რომელიც თავ შენახულ იაპონელს აღმოუჩნდა. სტეფანემაც მონახა თავის ჩანთაში სუხარიც, რომელსაც სიამოვნებით ახრამუნებდენ.

— რა გქვიან შენ? ჰკითხა სტეფანემ თავის ახალ ნაცნობს.

— მე განკოს მეძახიან, უპასუხა იმან — შენა?

სტეფანემ უთხრა თავისი სახელი.

— სად გისწავლია აგრე კარგათ ჩვენებურათ ლაპარაკი?

— ცნობის მოყვარეობით ჰკითხა ამან.

— ომის წინეთ, რამდენიმე წელიწადს ვლადივოსტოკში ერთ მაღაზიაში ვმსახურობდი, უპასუხა იაპონელმა.

— მაშ შენ რუსებს დიდი ხანი იცნობ? ჰკითხა სტეფანემ. — განა ისინი გიჭირებდენ საქმეს, რომ ჩვენ წინააღმდეგ ამხედრდი?

— სულაც არა, მაგრამ რა გავწყობა, ომია! თუ კი ყველა ჩვენები გავიდნენ საომრათ მე ხომ მარტოკა არ დავრჩებოდი რუსეთში? — შენც ხომ გამოილაშქრე ჩვენ წინააღმდეგ, განა ჩვენ-კი ცუდი რამე დავგიშავებია შენთვის? — ჰკითხა თავის მხრით იაპონელმა.

— ღმერთმა კარგა იცის, რომ არაფერი სანამ ომი არ დაიწყებოდა მე არაფერი არა ვიცოდი რა თქვენზე, თუ რა ხალხი ხართ. საკვეთ-სახნისზე ხელი აგვალეზინეს, მიგვატოვე-



ბინეს ცოლ-შვილი, სახლ-კარი, წადი იომეო, რისთვის, რისთვის, გვინდა ჩვენ თქვენგან, ან თქვენ ჩვენგან, სრულებით არაფერი ვიცით, ალბათ თქვენ გინდოდათ ჩვენი დაჯაბნა, თორემ უმიზეზოთ ხომ არ აგიტეხდნენ ომს.

— ჩვენებიც თქვენზე აგრე ამბობენ, თქვა იაპონელმა. — ასე თუ ისე, ხალხი რომ ერთი მეორის წინააღმდეგ წავა— ერთი კაცი ვერას გააწყობს, თავის სამშობლო უნდა დაიცვას.

— ნეტა მართალია ჩვენი ჯარის კაცები რომ ამბობენ, ვითომ ის მიწები, რომლის გამო ომი გვაქვს, არც თქვენია და არც ჩვენი, სხვისაა, ჩინელებისაო. თქვენ კი საიდანღაც, ათასი ზღვების იქიდან, მოსულხართ? ჰკითხა სტეფანემ. —

— ნამდვილათ მართალია, სთქვა განკომ—მიწები ჩინელებისაა.

— მაშ რისთვის გვეომებით სხვის მიწაზე?

— თქვენ რაღას გადმოსულხარ ცხრა მთას იქიდან, ჩვენ მგონია, მეტი უფლება გვაქვს მაგ მიწებზე, რადგან აქ თქვენზე ადრე დავსახლებულვართ. ათი წლის წინეთ ვეომებოდით ჩინელებს და გავიმარჯვეთ კიდეც. იმათ უნდა დაეთმოთ ჩვენთვის პორტ-არტური, ის კი არა, თქვენ, რუსები, გაერიეთ ჩვენ ჩხუბში ჩინელებთან და მზა-მზარეულათ სისხლ დაუღვრელათ წაგვართვით პორტ-არტური. მერე მოინდომეთ კორეის წართმევა. კორეია-კი ჩვენთვის საჭიროა, დასაბამიდან მათთან აღებ მიცემობა გვაქვს და ჩვენები ბევრი იქ დასახლბულნი არიან.

— მე რომ მკითხონ, დეე დაიღუპოს მთელი მანჯურია და დასწყევლოს ღმერთმა თქვენი კორეია, სთქვა სტეფანემ — რათ გვინდა! ჩინელებიც ვერ მოთავსებულან აქ. ერთი შეხედე, ყველა ადგილები დათესილია და მთებში კი ქვიშა და ქვების მეტი არა არი რა, რაში გვინდა ეს ადგილები, თითქოს ჩვენ, რუსებს, სამყოფი არა გვაქვს. აი ჩვენ რომ აქეთ რკინის გზით, მოვდიოდით, მარტო სიბირზე გავლა მთელი თვე მოგვინდა, ამ ქვეყნის ბოლო არა ჩანდა ისეთი დიდი ადგილებია. ჩვენ რომ ნება მოგვცენ რუსეთიდან გადმოსახლებისა ყველასთვის საკმარისი იქნებოდა ეს სიბირი და თქვენც გამოგკვებამდით, რაში გვეკნაქება ჩინეთის მიწები... აღამიანის თვალი ხომ გაუმაძღარია.

ასე დამშვიდებით ბაასობდენ ორი დაქრილი მტერი დრო-გამოშვებით სვამდენ ხოლმე კონიასს.



— ცოლი გყავს? ჰკითხა სტეფანე.

— როგორ არა, სახლში მივატოვე ცოლი და ორი პატარა შვილი. დამაცა, გიჩვენებ იმათ სურათებს. უთხრა განკომ. ის ცოტათი ნასვამი იყო და გულ ახდილათ ელაპარაკებოდა სტეფანეს.

მან ჩანთაში ჩაჰყო ხელი და ამოიღო იქიდან ფოტოგრაფიული სურათი, რომელზედაც გადაღებული იყო ახალგაზრდა, ლამაზი ქალი თავიანთ ტანისამოსში გამოწყობილი და მასთან ორი პატარა იაპონელი გაპარსული თავებით, რომელზედაც აბურძღნული ჰქონდათ ორიოდე თმა.

— ცოლი ლამაზი გყოლია, ყმაწვილებიც კარგები არიან, უქო სტეფანემ. — კარგათ ცხოვრობთ?

— ძალიან ტკბილათ, არაფერს ვაწყენინებ ხოლმე, ჭკვიანი დედაკაცია. მოიცა ერთი წაგიკითხამ მის წერილს, წამოიძახა განკომ თავისი მტრის ქებით წახალისებულმა.

ჩანთიდან ამოიღო მთელი გროვა წერილები, მოძებნა ერთი და დაანახვა სტეფანეს რაღაც ნახატი წერილის კუთხეში: იქ გამოხატული იყო ქალი ორი ბავშვით.

— შეხედე ერთი, ეს ჩემმა ცოლმა დახატა. თითონ არის



და ჩვენი ორი შვილი, ქვეშ მოწერილია: „ეს მე ვარ და ჩვენი შვილები“ მართალია მზგავსება არ არის, მაგრამ ეს ხომ ხუმრობით არის. ახლა დამიგდე ყური რასა მწერს ამ წერილში:

— „მე მინდა, რომ დამიფიწყო მეც და შვილებიც, გახსომდეს, რომ შენი ცოლი და შვილი შენი სამშობლოა. ჩვენზე ნუ იფიქრებ“.

იაპონელმა ამაყათ გადახელა სტეფანეს, მისგან ქებას მოელოდა.

სტეფანე გაკვირვებული იყო, ვერ მიხვდა იაპონელი ქალის აზრს.

— რა არის ესა, თითქო შენ აღარ უნდიხარ.

— მართალია, ომის დროს აღარ უნდივარ, მას არ უნდა, რომ სხვა რამეზე ვიფიქრო, თუ არ ჯარის კაცის მოვალეობაზე.

— სხვას არათერს იწერება? ოჯახში რა ხდება, რას აკეთებენ, გაკვირვებით ჰკითხა სტეფანემ.

— ოჯახზე რას მოიწერება, სულ ერთია აქედან ხომ ვერას უშველი, რათ უნდა შინაური საქმეებით შემაწუხოს.

— შენ რომ მოგკლან?

— მერე რა უყოთ! — სულ ერთი არ არის, ყველა ჩვენგანი უნდა მოკვდეს, ზოგი წინ, ზოგი უკან, რომელი სიკვდილი შეედრება სამშობლოსთვის თავის დადებას? ჩვენ იაპონელებს სამშობლო ცოლზედაც, შვილებზედაც, მამაზედაც და დედაზედაც მეტათ გვიყვარს, მზათა ვართ თავი ვამსხვერპლოთ მის გასანთავისუფლებლათ, მის საბედნიეროთ. ვიამაყებთ მისი დიდი სახელით, რომ ვითვლებით სახელოვან მოქალაქეთ. ამბობდა განკო და თვალებიდან ნაპერწკლებს ჰყრიდა. — ჩემ ცოლს ეშინია, რომ მე ომის დროს არ ვიფიქრო მასზე, შვილებზე და ამითი ჩემ მოვალეობას არ უღალატო, ამიტომ ცდილობს ჩემ დამშვიდებას, აბა ახლა დამიგდე ყური, რასა მწერს დედა.

მან გახსნა მეორე წერილი და წაიკითხა: „როდესაც გემზე ჯდებოდი მე გამოგესალმე, მესმის კარგათ, რომ იაპონიის ბედნიერება და დიდება მოითხოვს დიდ მსხვერპლს. ჩემზე ნუ გეფიქრება, ნუ იწუხებ. კარგათ იცი, რომ შიმშილით არ მოვკვდები, და შენი სიკვდილით კი ვიამაყებ, რადგან მეცოდინება, რომ სამშობლოს შეეწირო, რაც უფრო ჩემთვის ძვირფასი იყო“.



ჩვენ ყველანი წავედით დიდათ პატივცემულ ქალბატონ სანასთან მისალოცათ, როდესაც მისი გაბედნიერება გავიგეთ. როგორც იმპერატორის ოქმი გვაუწყებს მისი შვილი ლაშქრობის დროს მოწინავე ჯარის თავში მოჰკლეს. მთელი სოფელი მივიდა დედასთან პატივის გამოსაცხადებლათ და ის ისე დამშვიდებული და თავ მომწონეთ დაგვიხვდა ყველას — იტყოდით ჩვენ წინა დვას ნაძღვლი დედოფალიო. მერე გავწიეთ მცხედრის მასწავლებელთან, რომ მადლობა გვეთქვა, რადგან მან ჩააგონა თავის შაგირდებს სამშობლოსადმი სიყვარული და თავის გაწირვა.

— რა უცნაური ხალხი ყოფილხართ! თქვა სტეფანემ, — ნუ თუ ომში რომ გაცილებდნ არც დედამ, არც ცოლმა არ იტირეს?

— რათ უნდა ეტირნათ? აღშფოთებით წამოიძახა იაპონელმა, — ეგ ხომ სირცხვილი და თავის მოჭრა იქნებოდა არა თუ ჩემთვის, მთლათ ჩვენი ჩამომავლობისთვის. „ახ, იტირესო“ რაზე უნდა ეტირნათ? იმაზე, რომ კაცმა დიდ ბედნიერებას მიაღწია — წავიდა თავის სამშობლოს, თავის ოჯახის და ყველა თავისიანების დასაცველათ! იმიტომ, რომ მას მიეცა შემთხვევა თავის თავის შეწირვით დაემტკიცებინა თავისი სიყვარული! განა თქვენში ამისთვის ტირიან?

— რას ამბობ, როგორ თუ არა ტირიან! თქვა სტეფანემ, — დედა ჩემი რომ მგზავნიდა მთელი ნაკადული ცრემლები დაღვარა, ცოლი კი ძროხასავით ისე ბლაოდა, თითქოს ჰკლამენო. როდესაც დაიძრა ჩვენი მატარებელი ის მკვლარით მიწაზე გაიშოტა და ისე წამოველ, რომ არ ვიცოდი ცოცხალი დარჩა თუ მართლა მოკვდა.


— მერე რა, კარგი იყო? გზაში რასა გრძნობდი?

— რას ამბობ, მთელი გზა გადარეული მოვდიოდი, არ ვიცოდი სად იყავ და ან რა მემართება, გაშტერებული ძირს ვეგდე. სულ იმას ვფიქრობდი — ჩემი ცოლი ხომ მართლა არ მოკვდა? რა ეშველება მეთქი შვილებს უდედლოთ? ხომ ლუკმის მათხოვრები გახდებიან! აჰ, მანჯურიაში, რა მაგისი გვცხელოდა, მაგრამ სულ მაგაზე ვფიქრობდი. მხოლოდ ცოტ-ცოტა დავმშვიდდი, როდესაც მისგან პირველათ წერილი მივიღე. კიდევ კარგი, რომ ყველაფერი კეთილათ დამთავრდა.

(დასასრული იქნება)



ფრთოსანი მონადირენი.



ანახავია როგორ დანავარდობენ ჰაერში ლომები, ვეფხები, მაგრამ მართალი ნუ გგონიათ, რომ ლომები და ვეფხები დანავარდობდნენ. ესენი დიდრონი, ვეებერთელა ფრინველები არიან და თავიანთი ცხოვრებით ძალიანე მიეგვანებიან გაუმაძღარ, მრისხან ოთხფეხა მხეცებს, რომელნიც გაუვალ ტყეებში და თვალ გადუწვდენელ მინდვრებ-

ში დახეტიალობენ. თუ დაუკვირდებით არწივის, მიმინოს, კორის, ძერის, გეზელის და ბუს ცხოვრებას თვალწინ წარმოგიდგებათ ისეთივე სანახაობა, როგორც არის ოთხფეხა სისხლის მსმელი ნადირისა. ეს ფრთოსნებიც ეცემიან თავის დავლას, ჰკლამენ, სკამენ მას, ზოგი კი უდარაჯებს მხეცებს და ადამიანებს და ჩაიგდებენ თუ არა კლანჭებში—არიფანას მართავენ.

ამ ფრთოსან-მონადირეთა შორის, როგორც ყველამ ვიცით, პირველი ადგილი უჭირავს დიდებულ არწივს, რომელსაც არც ერთი ფრინველი არ აჯობებს თავისი სიდიადი



შებედულობით. ეს არის ფრთოსან-მონადირეთა მეფეთა-მეფე. მისი მოდგმა სამასამდის ჩამოითვლება.

ყველაზე დიდი ჯიშის არწივი არის ზღვის არწივი და დედა-მიწის სხვა და სხვა ადგილებში ცხოვრობს. მათ შეხედება კაცი უმეტესათ ზღვის პირას მთიან ქვეყნებში. ადამიანებისაგან დევნილნი თანდათან გადიკარგენ უდაბურ და გავერანებულ ადგილებში.

იმიტომ კი არა ჰქვიანთ ზღვის არწივი, რომ ზღვაში სკუტრადენ და საცხოვრებელი იქ ჰქონდეთ, სულაც არა, გარდა ფრინველებისა და მხეცებისა ისინი თევზებსაც შეექცევიან. ზემოდან უცბათ წყალში ჩაეშვება: ზღვა იქნება, მდინარე თუ ტბა და რასაც მოასწრობს ხელში იგდებს, მაგრამ ხშირათ მარცხი მოსდის. მას ეძახიან სახელათ ბოლო-თეთრ არწივს.

ერთხელ ზღვის არწივი ზემოდან წყალში დაეშვა და თავისი ბრჭყალები დიდ ორაგულს ჩაურჭო. თევზი თავის დახწევას ცდილობდა და ამიტომ ფრინველი წყალში ძალით გაიტაცა არწივი მაინც თავის დავლას არ უშვებდა, ორაგულიც არ ნებდებოდა და შუა წყლისაკენ მიაქანებდა. ესენი ისე სატიკათ იბრძოდნენ, რომ ვერ გაიგეს, კაცი როგორ მიუახლოვდა და ფრინველიც და თევზიც გააშველა ერთმანეთს, რასაკვირლია თავის სახეიროთ. ზღვის არწივი სხვა საქმელსაც კარგათ შეექცევა: წვრილ ფრინველებს, კურდღლებს, ციყვებს, კრავებს, თიკნებს და სხვას.

როგორც სხვა ვარეული ფრინველებისა ამ არწივის დედალიც უფრო მაღალია, ვიდრე მამალი. ბოლოდან ნისკარტამდის ამ დედალ არწივს არშინი სიგრძე ექნება. ფერადი და ლამაზი ფრთებით არის შემოსილი, ფრთების ბოლოები ოქროს ფეროვანი აქვს, ამიტომ თითონ არწივიც ოქროს ფერათ მოჩანს. ეს ფრინველი იკეთებს ბუდეს მაღალ სალკლდეზე, სადაც ადამიანის ქაჭანებაც არ მოიძებნება და ვერც ვერავინ მიუდგება. მხოლოთ მის ბინის მისაღწევათ კაცი მაღლიდან უნდა თოკით ჩამოეშვას.

არწივი საზოგადოთ თავის შვილებს დიდ მზრუნველობას უწევს. ყველას მედგრათ უხვდება, როდესაც ვინმე, მასთან მიახლოვებას დააპირებს ბარტყის ამოსაყვანათ.

პატარა არწივებს ძალიან კარგი მაღა აქვთ, დედ-მამა



უგროვებს და უნახავს საზრდოს სადმე საკუქნაოში, რომელიც
საც მართავენ კლდის გამოშვერილ წვეტზე, ბუდის სიწინდელ-
ვეს, ისე მოხერხებულათ, რომ როდესაც მშობლები წასულნი
არიან, თითონ ბარტყები მიდიან საზრდოს ასაღებათ: კურდ-
ღლებისა. ციყვებისა და სხვა და სხვა შენახული ფრინველე-
ბისა.

არწივის ბარტყები თუ გაუმადრები არიან, რაღა ითქმის
თვითონ არწივებზე! მათ მძიმე და დიდი სხეულის გასაძლო-
მათ ძალიან ბევრი საზრდო ესაჭიროებათ.

ერთმა ინგლისელმა არწივების ნადარობას თვალი მოჰ-
კრა. ინგლისელი მისდევდა ირმებს და ღურბინდში ერთბაშათ
დაინახა, ირმების ჯოგი როგორ უცბათ აიშალა, მას არ და-
ფერთხო ისინი, რადგან შორს იყო. ერთი დიდი არწივი წა-
მოვიდა ზეციდან, ნიშანში ამოიღო ერთი პატარა ირემი,
ცლილობდა ჯოგიდან მოეშორებინა, რომ სხვები არ მიშვე-
ლებოდნენ. არწივი მას არც კორტნიდა ნისკარტით, არც
კლანჭებს უგდებდა. მხოლოდ ირემს მძლავრათ ბეჭებში არტ-
ყამდა თავის მაგარ ფრთებს. მას ეშინოდა, რომ თავისი მსხ-
ვერპლი ვაი თუ ველარ მოვაშორო თავისიანებსო. წამ და უწყუმ
მალლა აფრინდებოდა, თითქოს აპირებდა სრულებით თავი
დაენებებინა მისთვის, მაგრამ მალე ისევ ისე უბრუნდებოდა
უფრო გაბედულათ. ბოლოს იქამდის მიაღწევინა უბედურს,
რომ ის ჯოგს სრულებით ჩამოაშორა და ისე გაიტაცა. მონა-
დირემ თოფით ხელში ირემზე სანადიროთ გამოსულმა, დაი-
ნახა, როგორ ჰაეროვანმა მონადირემ მის თვალწინ დავლა
წაართვა.

არწივის ბუნებით მინიჭებული აქვს მშვენიერი მახვი-
ლი შორს-მჭვრეტელობა. მეორე მისი კაი თვისებაა ჰაერში
მოხერხებით საგნის დაჭერა. მართალია მაგ მტაცებელ-ფრინ-
ველთ ეგ თვისება ჯიშათ მოსდევდათ, მაგრამ ვარჯიშობი-
თაც ითვისებენ. ერთხელ ნახეს, როგორ აიტაცა არწივმა
დაჭრილი გარეული ქათამი ჰაერში, როდესაც ის თოფ-
ნაკრავი მიწაზე ვარდებოდა. მეორე არწივი დაეშვა ძირს
კურდღლის დასაჭერათ, რომელსაც მეძებრები ასდევნებოდნენ.
მაგრამ ჯეელი არწივები ბევრს ვარჯიშობითაც იძენენ.

ერთხელ შოტლანდიაში ნახეს, რომ ერთმა ჯეელმა არ-

წიგმა მოიტაცა მთის კურდღელი და ერთ წამს გაჰქრა სივრცეში. მერე კურდღელი კლანჭებიდან გაღუშა და სანამ ის ძირს დაეშვებოდა, თითონაც დაეშვა ძირს და მალა აიტაცა. მერე ისევ გაუშვა კურდღელი, ისევ დაიჭირა, ასე რამდენჯერმე მოიტაცა და ყველაფერმა დიდი ხერხით ჩაუარა. ეს ნამდვილათ თამაშობა იყო, ასე ემზადებოდენ ცხოვრებაში გამოსასვლელათ. სწორეთ გასაკვირველი იყო, რომ კურდღელი, ამისთანა მძიმე საგანი, რომელიც მიწისაკენ მიექანებოდა — ამან კლანჭებიდან გაუშვა და ისევ საჩქაროთ აიტაცა მალა.

ძერა არავის არ უყვარს, არავისთვის სასიამოვნო არ არის, თუმცა სარგებლობა მოაქვს იმითი, რომ დედა-მიწას აშორებს დამბალ, უყვარგის ნივთიერებას. ძერას ისე ვერ მოიგონებს კაცი, რომ თვალწინ არ წარმოუდგეს ომის ველი, სადაც მკვდრები და მამაკვდავები არ ეყარონ. მეტადრე საშიშონი არიან ესენი ღონე მიხდილი მოგზაურებისთვის, რომელთაც გზადაჰკარგვიათ და უდაბნოში სიკვდილი მოელოთ.

ამ ფრინველთა შორის არის კიდევ ორი სხვა და სხვა გვარი ქორი, რომელნიც იმყოფებიან იტალიის ალპებში, ისპანიის მთებში, და თვით ჩვენ კავკასიაშიაც. ესენი ისეთი საძაგელი შეხედულობისა არ არიან და არც იმათსავით ქუჩიანი ფერის ფრთები აქვთ, ტიტველი კისერი და საზოგადოთ მთელი ტანი უფერული. ამ ქორებს კი მთელი თავი ბუმბულით აქვთ შემკული და ჰაერში ისე მშვენივრათ დაცურავენ, იტყვიან ნავია წყალზეო.

ესენი ხშირათ ცხოველებით საზრდაობენ, უფრო კი იკვებებიან ლეშით. მათი ჯიშისა მრავალი მოიპოვება ინდოეთში, უმეტესათ ნახავთ საყასბოებში და ჯარის კაზარმებში. იქ ასაღებენ ესენი ძვლებს და ყველა სისაძაგლეს. ქორი აიტაცებს ხოლმე მალა თავის დავლას, ძვლებს, მერე ზემოდან ამ დიდრონ ძვლებს ჩამოაგდებს დაბლა გასატეხათ, მეტადრე ასე ექცევიან კუს. ერთგვარი ძერაა კიდევ, რომელიც ფრთებს რომ გაშლის თერთმეტი ფუტის სიგრძეს იჭერს. ის ისე დაფრინავს, თითქოს მძინარეაო. მაგრამ მას არა გამოეპარება რა. უცბათ ლოდვიით დაეცემა მსხვერპლს, მას მოჰყვებიან სხვებიც და ერთ წამს ყველანი დაეხვევიან ამ დავლას. ქორებს, როგორც სხვა ძერასაც შეუძლიანთ რამდენიმე დღეს უქმელათ



გასძლონ, მაგრამ დავლას ჩაიგდებენ თუ არა—გაუთავებლათ, შეუსვენებლივ სკამენ. ხშირათ ბევრი ჭამით ისეთ მდგომარეობაში ვარდებიან, ისე გამოძლებიან, რომ რაც უნდა საფთხე მოელოდეთ ადგილიდან ვეღარ დაიძვრებიან. ამბობენ ერთხელ ერთი ქორი ისე გამოძდა, რომ ვეღარ ინძრეოდა, მაგრამ გვერდზე რომ იწვა, ისევ განაგრძობდა ჭამას.

ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა

(თომა ალვა ედისონი)

(დასასრული)




თელ თავის სიცოცხლეს ედისონი შრომაში და მუშაობაში ატარებს. 1890 წლამდის მას აუღია ხუთასი პატენტი, ე. ი. მიუღია უფლებები სხვა და სხვა გამოგონებებზე და მას შემდეგ კიდევ სამასზე მეტი გამოგონება მოელოდა გამოქვეყნებას.

მაგრამ ედისონი თავის ხელობას სრულათ არ დამონებია. ვერ იტყვის კაცი, რომ ის მისმა მუშაობამ ისე მთლიათ შეიძურო და გაიტაცა, რომ სხვა ადამიანური გრძნობა მასში გამქრალიყო. სულაც არა, ედისონი იყო ნამდვილი კაცური კაცი: მხურვალე გულის პატრონი, დიდი გრძნობისა და ამასთანავე ოჯახობის მოსიყვარულე.

ჯერ თორმეტი წლისა არც კი იყო, რომ გაზეთების გაყიდვა დაიწყო და იმითი შეელოდა თავის ოჯახს. ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა, ბევრ ვაი-ვაგლახს და უბედურებას ხედავდა, მაგრამ მაინც არ ივიწყებდა—უმეტესი ნაწილი თავისი მოგებისა ოჯახისთვის მიეწოდებინა, თუმცა თვითონ ხშირათ უსადილოთაც რჩებოდა.

ედისონს მეტათ ძლიერ უყვარდა თავისი დედა. თავის გამოგონების გეგმებს წინ გაღუშლიდა ხოლმე და დედაც ნლო-



მით, რწმენით უცქეროდა თავის ნიჭიერს, პატროსანს, კარგი
ლი კაი საქმისთვის გულით მგრძობელს შვილს და დარწმუ-
ნებული იყო, რომ მას მოელის ბრწყინვალე მომავალი.
მაგრამ საუბედუროთ თვითონ ვერ მოესწრო... ის მოკვდა
1871 წელს, როდესაც მისი პატარა აღვა მსოფლიო დიდე-
ბის მისალწევათ ჯერ კიდევ პირველ საფეხურზე იდგა.

„კარგი შვილი ყოველთვის კარგი მამა იქნება“. ამბობს
ამერიკული ანდაზა. ედისონმა ეს ანდაზა გაამართლა—ის იყო
კარგი ქმარი და კარგი მამა თავისი შვილებისა.

მას ორჯელ ჰყვანდა ცოლი. პირველი ცოლი მისი ლა-
ბორატორიაში მომუშავე ქალი იყო—მერი სტილლუელს. ის
იყო მშვიდი, მთავდაბალი ქალი და მალე დიდი გავლენა იქო-
ნია მოუსვენარ ხასიათის ქმარზე. ის გულ-მოდგინეთ თვალს
აღევნებდა, რომ არ დაღალულიყო ქმარი გადამეტებული
მუშაობით. შეატყობდა თუ არა დაღალვას, მაშინვე საქმეზე
ხელს აადებინებდა და ყოველთვის ამხნევებდა. როდე-
საც ედისონს რომელიმე საქმე ჩაეშლებოდა და სულით დაე-
ცემოდა, მაშინ ცოლი მისთვის ნამდვილ ანგელოზათ გადაიქ-
ცეოდა. ქალი, თავის ხანმოკლე სიცოცხლის დროს, ქმრის
ნამდვილი თანაშემწე იყო. ამასთანავე ის არ ივიწყებდა თავის
ადრინდელ ამხანაგებს, რომლებსაც თავიანთი უფროსის ცო-
ლი, თავისი იშვიათი გულ-კეთილობით, ღმერთათ მიაჩნდათ.

ამ ცოლისაგან ედისონს ჰყვანდა სამი შვილი: მარიანა,
თამასი და ვილიამი. არც ერთ ბავშვს მთელ ქვეყნიერებაზე
არ ეყოლებოდა ამისთანა მოსიყვარულე და მხიარული მამა,
როგორც ამათა ჰყავდათ. ეს მათი მეგობარიც იყო და თა-
მაშობის დროს ნამდვილი ამხანაგიც. მერე რომ იცოდეთ რა
იშვიათი სათამაშოები მოჰქონდა მათთვის, როდესაც ლაბო-
რატორიიდან სახლში ბრუნდებოდა!

თავის ორ უფროსს შვილს ედისონი უძახოდა „დოტ“ და
„დაშ“, რომელიც ნიშნავდა წერტილს და ხაზს. ეს სახელები
მან ტელეგრაფის ანბანიდან შემოიღო. ედისონს ეს შვილები
დაებადა სწორეთ იმ დროს, როდესაც მთლათ გატაცებული
იყო ტელეგრაფის გაუმჯობესების აზრით.

მაგრამ 1881 წელს ედისონის ბედნიერ ოჯახს ეწვია
უბედურება. მისი მხიარული და კეთილი მერი მოკვდა. ნაღ-

ველმა და სასოწარკვეთილებამ ედისონი იქამდის მოიყვანა, რომ ლოგინათ ჩავარდა და დიდხანს ავადმყოფობდა. ამ გვარი კეთილი აღამიანის დაკარგვას ედისონს ყველა თანაუგრძნობდა, მისი ამხანაგებიდან დაწყებული, უბრალო მუშამდის. მას გლოვობდენ ისინი, როგორც მეგობარს და როგორც დედას

ედისონმა მალე თავს უშველა. ერთ დღით მუშებმა კვლავ ნახეს იგი ლაბორატორიაში.

— ნაღვლისთვის დრო არა მაქვს. ბევრი საქმეები მიძევს წინ გასაკეთებელი, სთქვა მან ნაღვლიანი ღიმილით. და ნაღვლის გასაქარწყლებლათ შეუდგა დიდი მუყაითობით მუშაობას.

მაგრამ ის სულის სიმშვიდე მასში, რომელსაც აქამდის ყველა ხედავდა, გაჰქრა. წინანდელი მისი მხიარული, ზოგჯერ კიდევ მზაკვარი ღიმილი აღარა ჩანდა მის პირის-სახეზე, იშვიათათ თუ მოისმოდა მისი ხმა-მალღივ სიცილი, ახლა ხშირათ მის თვალებში გულ ჩახვეულობა გამოიხატებოდა, რომელსაც წინეთ ვერაფერ ამჩნევდა.

ბევრი ხანი მოუწოდებოდა კიდევ ედისონს სანამ ის გულს სრულათ დაიმშვიდებდა. მაშინ ის მხოლოთ 34 წლისა იყო.

მისმა სიკაბუკემ, მისმა მხნეობამ, მუშაობის ხალისმა და მეტადრე შვილებზე ზრუნვამ თავისი გაიტანა. 1889 წელს მან მეორეთ შეირთო ახალგაზრდა, დიდი ნიჭიერი ქალი, სახელგანთქმული გამოგონებლის და მექარხნისა, რომელსაც ქალაქ ოგიოში სამეურნეო იარაღების დიდი საწყობი ჰქონდა. კლემანტი ერქვა ამის მეორე ცოლს. ტუხნიკური განვითარება დიდი ჰქონდა და ედისონის გამოგონებებს ყურადღებას აქცევდა და შემდეგში ბევრსაც შეელოდა.

ედისონმა შეირთო თუ არა ცოლი, იყიდა მშვენიერი აგარაკი, რომელსაც ცოლის სახელი დაარქვა „ვილა*)“ კლემონტი ამ აგარაკში, ორანჟევის ლაბორატორიასთან ახლოს ედისონი თავისი ოჯახით ზაფხულობით ცხოვრობს, მაგრამ ამ დროსაც სრულათ არ ესვენებს, მაინც მუშაობს. ამას გვიმოწმებს ის პატარა ლაბორატორია, რომელიც მან თავის აგარაკში გამართა.

*) „ვილა“ ნიშნავს აგარაკს.



მეორე ცოლისაგან ედისონს ეყოლა ორი შვილი — მადლინა და კარლო. მას აქეთ ამის ოჯახში დამყარდა სრული ბედნიერება და სიხარული.

ამ გამოჩენილ კაცის უფროს შვილს მემკვიდრეობით მამის ნიჭი გადაეცა და სწორეთ საუკეთესო თანაშემწეა მამისა. ედისონს ფიქრათაც აღარ მოუვა, რომ მისი საქმეები, რომელსაც მან მოანდომა მთელი თავისი სიცოცხლე — მისი სიკვდილის შემდეგ ჩაიფუშება. ის სრული დარწმუნებულია, რომ გადავა სანდო პირის ხელში და მოხუცს ეს აცოცხლებს, გულს უმსებს სიამაყით და ბედნიერათ ხდის.

ედისონს საზოგადოთ არ უყვარს მოვზაურობა, მას აქეთ რაც ყმაწვილობაში ეხეტილა დრო აღარ რჩებოდა სამოგზაუროთ. მას მხოლოთ ერთხელ მთელ თავის სიცოცხლეში მოუხდა ჩრდილოეთის ამერიკიდან გამომგზავრება. ეს მოხდა 1889 წელს: იგი თავისი მეუღლეთი დაესწრო პარიზში მსოფლიო გამოფენას. მან იქ გაიცნო საფრანგეთის პრეზიდენტი ინტენერი კარნო, რომელსაც ძალიან მოეწონა სახელგანთქმული გამომგონებელი. თუმცა ამათ ერთმანეთისა ბევრი არა გაეგებოდათ რა, მაგრამ დამეგობრდენ მალე.

სწორეთ საყურადღებო იყო მათი ბაასი. ედისონმა არც ერთი სიტყვა არ იცოდა ფრანგულათ და მისი ინგლისურ-ამერიკული ლაპარაკი იმოდენა მდაბიო სიტყვებით იყო სავსე. რომელნიც ედისონს სახელოსნოში უბრალო მუშებისაგან შეეთვისა, რომ კარნო მის ლაპარაკს ვერ იგებდა, თუმცა კარგა იცოდა ინგლისური ენა.

ედისონი რაკი ერთხელ ადგილიდან დაიძრა, პარიზიდან ბერლინში წავიდა და ვისი გაცნობაც კი მოასწრო, ყველა აღტაცებაში მოიყვანა. მასზე ერთი ნემეცების მწერალი აი რასა სწერს:

ედისონი მეტად კაი შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე, ვისაც გაეცნობოდა. ყველაფერი მასში მოსწონდათ, გარეგანი მისი შეხედულობაც საყურადღებო იყო: კეთილშობილური თავ-პირის მოყვანილობა, მაღალი გადაშლილი შუბლი, მისი რგვალი პარისახის ნათელი და მშვიდი ნაკეთები, ღირსეულათ თავის დაქერა. ყველა ეს თითქოს გვეუბნებოდა, რომ ჩვენ წინ ან პროფესორი და ან სასულიერო პირია. მაგრამ



თუ დავაკვირდებით მის ღრმათ შთამბეჭდავ შეხედულებას რომელიც კაცის გულის სიღრმემდის მიალწევდა, რასაკვირველია არც მღვდელს და არც პროფესორს მივამგვანებდით, ლაპარაკის დროს მისი სახის გამომეტყველება სისწრაფით იცვლება და მისი მხიარული და ცოცხალი ღიმილი მეტად მიმზიდველია.

ეს მხიარული ღიმილი, თბილი მზის შეშუქების მინაგვანნი—გვიმტკიცებს მის ხასიათს. ეს იმ ზოგიერთ, იშვიათ, რჩეულთაგანია, რომელიც ზეგარდმო ნიჭით აღტურვილია. ედისონმა თავის სიცოცხლეში მიაგნო ნიჭის შესაფერათ საქმეს და ამით მოიპოვა ყველას თანაგრძნობა.

თუმცა ედისონი საქვეყნოთ ცნობილი და სახელგანთქმული კაცი იყო, მაგრამ მისი მთავდაბლობა ყველას აკვირვებდა, არც ისეთი იყო, რომ მასთან ხუმრობა არ შესძლებოდათ. თვითონ ხშირათ ისეთ ოხუნჯობას გამოიგონებდა, რომ პატარა ალის ცეკვობას მოგაგონებდათ.

ერთხელ მის სანახავათ მივიდა ერთი მისი მეგობარი, რომელიც აგრე რიგათ გამბედავი არ იყო. ედისონმა იცოდა მისი მხდალობა და უნდოდა გამოხუმრება: ისე მოახერხა, რომ მეგობარი შუალამემდის არ გაისტუმრა დასაძინებლათ. ძილის წინეთ კი ედისონი ართობდა მას საშინელი ამბების თხრობით, სულ მაჯლაჯუნებით და საშინელი მოჩვენებებით აშინებდა უიმისოთაც მშიშარა ადამიანს.

შუალამისას მისი მეგობარი უკვე ლოგინში იწვა. ოთახში გაისმა თორმეტი საათის დაკვრა და როგორც კი შესწყდა მოისმა ვილასიც ყრუთ და ნაღვლიანი ხმით ნათქვამი საშინელი სიტყვები:

„შუა ღამეა, ადამიანო, მოემზადე სასიკვდილოთ!

უიმისოთაც სხვა და სხვა მოთხრობებით დაშინებულმა სტუმარმა ეს სიტყვები რომ გაიგო—ელდამ შეიპყრო, ველარ გაინძრა. ბოლოს, როგორც იყო ლოგინიდან წამოხტა და გაექანა ედისონის ოთახში, ედისონმა ბევრი იცინა ამაზე და მერე აუხსნა თავის ფონოგრაფის გამოგონება.

მეორეთ ამის მახვილმა ხუმრობამ უფრო ძლიერი შთაბეჭდილება გაჰოიწვია. ეს იყო სწორეთ იმ დროს, როდესაც ის ელექტრონის ლოკომოტივის გამოგონებაზე მუშაობდა.



მაშინ ედისონს არა ჰქონდა საკუთარი ფული და რომ საქმეს მიშველობოდნ დაარსდა აქციონერთა დიდი საზოგადოება, რომელიც ედისონს საჭირო ფულს აძლევდა.

ერთხელ ამ საზოგადოების გამგეობის წევრი ეწვიენ ედისონს, რომ დარწმუნებულიყვენ თავიანთ თვალით, რამდენათ გაკეთებულია საქმე.

ედისონმა იმათ ლაპარაკზე შეატყო, რომ ექვი აქვთ ვითომ ელექტრონის ლოკომოტივმა შესძლოს ნამდვილათ იმოდენა ძალის გამოჩენა, როგორიც მათთვის სასურველი არის.

ამაზე ედისონს გული მოუვიდა, მაგრამ თავი შეიკავა.

მერე გულუბრყვილო ღიმილით თავისი სტუმრები მიიბატიჟა ლოკომოტივით გასასეირნებლათ. სტუმრები გრძელ-კალთებიან შავ სერთუკებში გამოწყობილნი და თავზე მოელვარე მაღალი შლიაპებით დიდით თავის დაქერით ჩასხდნენ ლოკომოტივში, რომელიც ლაბორატორიასთან ახლოს საცდელათ გამართულ ლიანდაგზე იდგა. ისინი მოელოდნ, რომ ედისონი მოუყვებოდა ახსნას თუ რანაირათ კეთდება მანქანა.

მაგრამ ედისონი სწრაფლათ აჰყვა მათ, წინა ადგილას დაჯდა და გაუშვა ლოკომოტივი, რომელიც ყოველ წამს უმატებდა სიჩქარეს. ელექტრონის ლოკომოტივი ლიანდაგზე ელვის სისწრაფით გარბოდა. ხან მარჯვნივ უხვევდა, ხან მარცხნივ, ხან ირგვლივ ტრიალებდა. გამგეობის წევრების ყურებში ბზუილი გაისმოდა, მათი მოელვარე ქუდები ჰაერში ტრიალებდნ, მათ სერთუკების კალთებს ქარი ბაირალებივით აფრიალებდა, საბრალოებს ეშინოდათ რომ გადმოცვივდებიან. ედისონს ეხვეწებოდნ შეეყენებინა მანქანა, რომ ძირს ჩამოსულიყვენ. მაგრამ ედისონი თითქოს სწორეთ იმ დროს უფრო დაყრუვდა. შოკუმულ ტუჩებზე დამცინარი ღიმილი უთამაშებდა და თვალები უცნაურათ უბრწყინავდა.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი სტუმრები, რომელნიც ეხვეწებოდნ ედისონს ლოკომოტივის შეჩერებას—ახლანამდვილათ დარწმუნდნ, რომ ელექტრონის მანქანა თავის დანიშნულებას სამაგალითოთ ასრულებს.

როდესაც მანქანა მეტი სიჩქარით გარბენას ვეღარ შესძლებდა, ედისონმა ისე უცბათ შეაყენა, რომ მისი ტანჯული სტუმრები კინალამ ყირამალა გადმოცვიდნ.



მთლათ კანკალით ჩამოვიდენ ლოკომოტივიდან და გადოების“ პატივცემულნი გამგეობის წევრნი და ხმა ამოუღებლივ წავიდენ. ედისონმა ეშმაკური ღიმილით გააცილა ისინი და მთელი დღე კაი გუნებაზე იყო.

ედისონს არას დროს არ უყვარდა მედიდურები, თავმომწონენი. სადაც კი შემთხვევა მიეცემოდა—სასაცილოთ იგდებდა მათ, მეტადრე ვისაც არა გაეგებოდა რა და საქმის მკოდნეთ კი თავი მოჰქონდა. ის არ ზოგავდა იმ პირთაც, რომელთაც ხელთ ეპყრათ ძალა.

ედისონის ამ გვარ ხასიათმა ერთ ტენნიკს ხელი ძალიან შეუწყო, იგი გაასამართლებინა. მას აბრალებდენ, რომ სამსახურში, როგორც ტენნიკმა დიდი დაუდევრობა გამოიჩინა და ამითი საქმეს ავნო.

მსაჯულებათ იყვენ სულ მდიდარი ვაქრები და ქარხნების პატრონები, რომელთაც ამ საქმეში არაფერი გაეგებოდათ და ედისონი მიიწვიეს, როგორც გამოცდილი და მკოდნე პირი. ამან ბრალდებულის სასარგებლოთ ილაპარაკა. ტენნიკი გაამართლეს. როდესაც სამსჯავროდან გამოვიდენ ედისონმა უთხრა:

— ახლა ჩვენ მარტონი ვართ და გულახდილათ უნდა გითხრა, რომ თქვენ წამდვილათ დამნაშავე ხართ. მე მაშინვე მივხვდი...

— თუ აგრეა, ჩემი მხარე რათ დაიჭირეთ? გოცებით ჰკითხა გამართლებულმა.

— იმიტომ რომ არ მინდოდა მაგისთანა უსწავლელებს გაემარჯვნათ.

აი, როგორი პასუხი მისცა ედისონმა.

მაგრამ, უნდა გითხრათ, ყველა კი ასე ადვილათ არ გადურჩებოდა ედისონის ოხუნჯობას.

ედისონის ლაბორატორიაში ხშირათ მიებარებოდენ მდიდარი ფაბრიკანტების და დედის ერთა შვილები, რომელთაც უნდოდათ პრაკტიკულათ გავარჯიშებულიყვენ. ისინი ხან-და-ხან ნაზობას იჩენდენ, ძნელ სამუშაოს ერიდებოდენ, განებივრებულნი იყვენ. ედისონს დიდათ ეჯავრებოდა ამისთანა ვაჟბატონები. იმას სწამდა, რომ მხოლოთ ის კაცია პატივსაცემი, რომელიც საკუთარი შრომით გაიგნებს გზას და არა



ისინი, როძელნიც დაიბადებიან ფუფუნებაში და სიმღიდრეში

ერთი განაზებული დედის შვილი თავის თავზე ბევრს ფიქრობდა, ეგონა რომ იმაზე ნიჭიერი ქვეყანაზე არავინ არის. ერთხელ როდესაც საჭირო იყო გამოსაცდელათ მანქანის დაშლა და გაწმენდა მან გადაჭრით უარი თქვა.

— მაგისტანა ქუჭყიან საქმეს ხელს არ მოვკიდებ, მე გამომგონებელი ვარ და არა უბრალო მუშა.

ედისონმა უცაბედათ გაიგო, მაშინვე ყმაწვილ კაცს მიუახლოვდა, მძიმეთ თავი დაუკრა და მოწიწებით მოახსენა:

— ათასჯერ ბოდიშს ვიხდი თქვენ წინაშე, რომ გავბედე და ამისთანა ქუჭყიანი საქმის გაკეთება დავავალეთ. რასაკვირველია თქვენისთანა ნიჭიერ და განათლებულ კაცს არ შეჭფერის უბრალო საქმე. თქვენ მაგივრათ მე გავაკეთებ. მე ხომ ყოველთვის უბრალო მუშა ვყოფილვარ.

ამ სიტყვებით ედისონმა დაიძკლავა და მოჰყვა მანქანის გაწმენდას. მერე მიუბრუნდა სირცხვილით გაქარხლებულ ყმაწვილ კაცს და უთხრა:

— მზათ გახლავთ... ახლა თქვენი რიგია. გასაკეთებელი ბევრი არა არის რა—გამოგონებას შეეხება, მაგაში კი თქვენისთანა გენიოსს ვერაფრით ვერ ვუშველი.

ამაზე უკეთესი გაკვეთილი არა იქნებოდა რა. ამის შემდეგ დედის განებივრებული ყმაწვილი გონიერ და კარგ მუშათ შეიქნა.

ამ მაგალითით თითონ ედისონმაც ისარგებლა. მას აქეთ, როდესაც ამ გვარ ვაჟბატონებს უნდათ მიებარონ მის ლაბორატორიაში, ეს გამომგონებელი თავისებურათ სცდის მათ. თავდაპირველათ ყოველ გვარ ქუჭყიან და უბრალო საქმეებს აკეთებინებს: მაგალითათ, ოთახებს და დერეფნებს აფეინებს, გასაგზავნ ყუთებს აწმენდინებს და ბევრ სხვა ამგვარ საქმეებს აკეთებინებს. ვინც ხმა ამოუღებლივ ასრულებს ამ უბრალო საქმეებს ედისონი იმას მიიღებს ხოლმე ლაბორატორიაში.

— მე არ მიყვარს ცუდლუტები, ზარმაცები, რომელნიც არ კადრულობენ პატიოსან მუშის საქმეებს. ხშირათ იმეორებდა ხოლმე ედისონი.

ედისონი ყოველთვის და ყველგან გულახდილი და სადა კაცი იყო. დიდება, რომელსაც ძველი და ახალი ქვეყნები



უძღვნიდენ მას თვალში არ მოსდიოდა და ზოგიერთი მისი ლაბორატორიის მნახველნი, როდესაც მოწიწებით დაუძახებდნენ: „ბატონო პროფესორო!“ ის სიცილით ეტყოდა:

— მე სულაც პროფესორი არა ვარ! ედისონი ვარ, უბრალო საქმის მუშა ვარ და არა ნასწავლი პროფესორი.

მუშებთან ყველთვის კარგ-განწყობილებათა, უყვარს ხუმრობა და იმათ ხუმრობასაც ადვილათ იტანს.

ერთხელ ლაბორატორიაში გაცხარებული მუშაობა იყო, შეუსვენებლივ დილიდან საღამომდის მუშაობდენ. თითქმის ათი საათი იყო, ყველანი საშინლათ დაიღალენ. ედისონმა ველარ შესძლო და იქვე სკამზე ჩაიძინა. ერთმა ხუმარა მუშამ ლაბორატორიის საათი ექვსი საათით წინ დააყენა.

რამდენიმე წამის შემდეგ ედისონმა გაიღვიძა, თვალები რომ გაახილა საათს უცბათ შეხედა—საათის ისარი ოთხზე იდგა.

— ვიშ, რამდენი მძინებია! წამოიძახა მან—თქვენ აქამდის რას აკეთებთ. ჩვენ ხომ პირობა ისე გვქონდა, რომ თორმეტ საათზე გავათავებდით მუშაობას—თქვენ კი თითქოს მთელი ღამე გიმუშავნიათ. ახლავე მოაგროვეთ თქვენი იარაღები და გასწიეთ დასაძინებლათ.

ერთ წამში ყველაფერი მიაღაგ-მოაღაგეს, სინათლე ჩააქრეს და ყველა თანაშემწენი და მუშები წავიდ-წამოვიდენ, თუმცა ცოტა არ იყო შეწუხებულნი იყვენ, თუ მათი უფროსი მეორე დღეს რას იტყოდა.

ლაბორატორიიდან ედისონი უკანასკნელი გამოვიდა. მერე, როდესაც შევიდა ქალაქში გაკვირვებული შედგა. ქუჩები იმის მაგივრათ რომ ჩაბნელებული და დაცარიელებული დახვედროდა, როგორც შეჭფეროდა ღამის ოთხსაათს, დაინახა ქუჩებში დიდი მოძრაობა და მალაზიები ისევ ისე განათებული იყო.

ედისონმა უბიდან საათი ამოიღო. ათ საათს ცოტა გადასცილებოდა.

ახლა მიხვდა, რატომ ეჩვენა, რომ დიდ ხანს ეძინა და ქუჩაში ხმა მაღლივ მოჰყვა სიცილს.

ასე რომ მიდიოდა და იცინოდა შეხვდა მეგობარი. მის წინ გაჩერდა და ჰკითხა:



— რა დაგეპართა, ძმაო? აგრე მხიარულათ რომ ხარ ახალი რამე ხომ არ გამოიგონე!

— არა. იცი ჩემ მუშებთა შორის აღმოჩნდა საშინელი მხუნჯი კაცი!

— რაო? იქნება ვისმეს დიდ გამოშგონებელს წააწყდი!

— არც აგრეთი დიდი კაცია! გამოშგონებლამდის დიდი მანძილი უძვეს, მაგრამ უნდა გითხრათ ძალიან მოხერხებული ვინმეა. და ხელახლათ მოჰყვა სიცილს.

ედისონი მუშებს ზრდილობიანათ ექცეოდა და სხვებსაც ავალებდა მათდამი ზრდილობიანობას.

ერთხელ ზრდილობის დამრღვევს, ახლათ მიღებულ ზედამხედველს, შეეფეთა თვითონ ედისონი. თავისი უბრალო ტანისამოსით და სადა შეხედულობით იგი ძალიან მიეგვანებოდა მუშა კაცს. და როდესაც ამ ზედამხედველმა გაიარა ეზოში მუშების დასათვალიერებლათ დანიახა ვილაც კაცი ლურჯ სამუშაო პერანგში და ძველ დიდ კალთებიან ქუდში. ზედამხედველმა ეს კაცი სულ უბრალო მუშათ მიიღო, რომელიც არხენათ დასეირნობდა და ეტყობოდა მუშაობას არ აპირებდა.

— შენ ეი, არამზადავ! დაუყვირა ზედამხედველმა, — გეტყობა მოკლილი ხარ, რომ აქეთ იქით დახეტიალობ. გასწი ახლავე, დაადეგ საქმეს!

ამ მუშა-კაცმა მიიხედა ზედამხედველისაკენ და სიცილით უთხრა:

— გამარჯობა!

მერე დაუმატა:

— იქნება არ მიცნობთ, მე ედისონი ვარ.

ზედამხედველიც რასაკვირველია ძალიან შეშინდა და დაიწყო ბოდიშის მოხდა.

— არაფერია, არაფერია! უპასუხა ედისონმა, ძალიან კარგია რომ არა გყვარებიანთ არამზადები, მაგრამ ჩემი მუშები დაჩვეულნი არიან ზრდილობიანათ მოქცევას. გთხოვთ მეორეთ არ დაივიწყოთ.

ედისონმა არ იცოდა სხვის ნამუშავრის დამცირება და თავის საკუთარ ნამუშავრსაც კარგათ აფასებდა. იმას კარგათ ახსოვდა რამდენი ძალღონე მოუწდა, სანამ პრაქტიკულათ



გაიყვანდა თავის აზრებს. ისიც კარგათ იცოდა, რომ ადამიანს არც ისეთი დიდი ძალა აქვს, რომ ყველაფერს გაუძლოს.

ედისონს როგორც ადამიანისადმი სიყვარული ჰქონდა ისეთივე სიყვარულს გრძნობდა ბუნებისადმი.

მისი აზრით ბუნება ცოცხალი არსებაა და მისი მხატრობა სიცოცხლის სიხარულის გარდაცემაა.

ედისონის არსება არის მთლათ სავსე სიცოცხლის სიხარულით, მეტადრე მაშინ, როდესაც ის თავის უკვდავ გამოგონებას ჰქმნის, როდესაც, როგორც თვითონ ამბობს, ასრულებს ბუნების ბრძანებას, დავალებას, ითვისებს ყველაფერს მეტათ გრძნობიერათ, როგორც შეჭფერის ზეგარდმო მინიჭებულ არსებას.

ამის ბუნებაში გარმონიულათ მოთავსებული იყო ყველაფერი, რაცკი ბედნიერებას მოუტანს ადამიანს და საზოგადოებას.

ეს იყო ისეთი მუშა, რომელიც თავის მუშაობაში გრძნობდა სიმოვნებას, პოულობდა ენერჯიას და ძალას, მეტადრე მაშინ, როდესაც ათასი დაბრკოლებები, ათასი მარცხი და სიძნელე ელობებოდნენ წინ. ეს იყო პოეტი, რომელის ლექსი იყო—ელექტრონის ძალა შეტანილი უბრალო ცხოვრებაში. ეს იყო ის კაცი, რომელსაც, ფხიზელი ჭკუა და ჭაბუკი გული ბოლომდის შერჩა. თუმცა ხშირათ ბედი ჩაადგებდა ულმობელ მდგომარეობაში. ეს კაცი არის მაგალითი ყველასთვის ვინც უანგაროთ და წრფელი გულით მიიღტვის წინ—სიმართლისაკენ.

ასეთი იყო ედისონი ყოველთვის და ყველგან, ასევე იცნობს მას ჩვენი დროის კაცობრიობა და ასეც ვაიცნობს სამარადისოთ მომავალი შთამომავლობა.

დასასრული

ან. წერეთლისა.



თარგმანი
საქართველო

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.

უგულდოური სამოქმედო და სლიტერატურა გაზეთი

„სახალხო გაზეთი“

წელიწადი მეხუთე.

მომავალ 1914 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა და გაზეთს ექნება კვირაობით

სურათებიანი დამატება.

1914 წლის ხელის მომწერნი, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ პრემიად

ს ა მ ს წ ი გ ნ ს.

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., საზღვარ-გარედ 15 მ. ნახევარი წლით ტფილისში 4 მან. 50 კაპ., საზღვარ-გარედ 7 მ. 50 კ., ერთი თვით ტფილისში 75 კ., საზღვარ გარედ 1 მან. 25 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შუური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

აღრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. აკალიშვილთან.

ფოსტის აღრესი: Тифлисъ, груз. газ. „САХАЛХО ГАЗЕТИ“ почтовый ящикъ 190.

Открыта подписка на 1914 годъ
НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь“

(Годъ изданія шестой).

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисъ.	Въ провинціи.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб. — коп.
„ полгода	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
„ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяць	— 75 коп.	— 75 коп.

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчь“, Дворцовая ул. д. Сараджева. Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“. Редакторъ Д. М. Думбадзе. Издатель Э. З. Горделадзе.

0189/1



ჯეჯილი

საქმანწვილო ნახატებიანი ჟურნალი
ოცდა მახუთა წალიწადი.

ჟეჯილი დასრებულია 1890 წელს.

გამოვა 1914 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა, ზეცარებისათვის და მოსწრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება 4 მან, ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: **თბილისში**—„ჯეჯილის“ რედაქციაში, (არტილერიის ქუჩა, № 5.)

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:

ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძეს.

მინაილოვში—ვლად. ჩიქოვანს.

სამტრედიისში—რაქდენ ნანეიშვილს.

სიღნაღში—ენ. ნ. ანდრონიკაშვილს.

ჭიათურაში ქალ. ჯაფარიძეს და —ნიკო წუწუნავის.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი ან. თუმანაშვილი წერეთლისა.

ჯეჯილის 1914 წლის ხელის მომწერლებს ვინც ჟურნალის ფასს სრულად გადაიხდის საჩუქრათ გაეგზავნებათ დასურათებული წიგნი.

„კუნწულა“